დანართი №1

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სასურსათო ტექნოლოგია
ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
23/02/2023

დასკვნის წარდგენის თარიღი
10/04/2023

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 5

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან 10

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 10

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 21

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 28

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 33

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 42

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	245428158
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ სანიკიძე, სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ჩხარტიშვილი, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნატალია ცქიტიშვილი, შპს "ADINA", საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ირმა ქურდაძე, სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ქოთოლაშვილი, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის" და „დაწესებულების სახის" მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	სასურსათო ტექნოლოგია
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Food Technology
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	სასურსათო ტექნოლოგიის ბაკალავრი, Bachelor of Food Technology
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	სურსათის გადამუშავება - 0721
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [3]	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	-

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

3 მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ[4]**

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი 2001 წლიდან ახორციელებდა პროგრამას, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან გაერთიანებულ აგრარული ბიოტექნოლოგიების სამეცნიერო კვლევითი და სასწავლო ინსტიტუტის მიერ. პროგრამამ 2005 წელს გაიარა აკრედიტაცია. 2011 წელს პროგრამამ გაიარა ხელახალი აკრედიტაცია. პროგრამა ხორციელდებოდა უნივერსიტეტის მიერ 2019 წლამდე, შემდგომ კოვიდის გამო ამ მიმართულებით პროგრამის განახლება შეჩერებული იყო და უსდ-ს არ ქონია სტუდენტების მიღება.

უნივერსიტეტის მისიიდან, აჭარის ა.რ. საჭიროებიდან და დამსაქმებლების მოთხოვნებიდან გამომდინარე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით (დადგენილება # 06-01/18. 9 მარტი 2021წ.)უსდ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „სასურსათო ტექნოლოგია“ შემუშავების მიზნით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი. უსდ.-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 13 დეკემბრის # 06-01/145 დადგენილებით დამტკიცებული ტექნოლოგიური ფაკულტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „სასურსათო ტექნოლოგია“ ბიუჯეტი (პირველადი ხარჯთააღრიცხვა) - ბრძანება # 01-10/169, 27 დეკემბერი, 2022.

პროგრამის თვითშეფასების პროცესს ახორციელებდა ჯგუფი, რომელიც შედგებოდა 10 წევრისაგან: ბსუ-ს პროფესორი პროგრამის ხელმძღვანელი, აკადემიური დოქტორი, პროგრამის ხელმძღვანელი, (პროგრამას ყავს 2 ხელმძღვანელი), ტექნოლოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ პროფესორი, ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის მეცნიერ - თანამშრომელი, კურსდამთავრებულები, დამსაქმებელი.

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „სასურსათო ტექნოლოგია“ მოიცავს 240 კრედიტს (ერთი კრედიტი შეესაბამება 25 საათს), ძირითადი -180 კრედიტი (165 კრედიტი სავალდებულო და 15 კრედიტი არჩევითი სასწავლო კურსები), დამატებითი სპეციალობა/ არჩევითი კურსები- 60 კრედიტი) თავად სავალდებულო კომპონენტები შედგება ძირითადი და არჩევითი სასწავლო კურსებისგან. პროგრამაში 10 კრედიტი დათმობილი აქვს პროფესიულ პრაქტიკას. სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა 4 სემესტრის მანძილზე შეისწავლოს უცხო ენა (ინგლისური) გაძლიერებულად. პროგრამის ფარგლებში სავალდებულოა პროფესიული პრაქტიკის გავლა და საბაკალავრო ნაშრომის შესრულება. პროგრამის ხანგრძლივობა არის 4 წელი (რვა სემესტრი) პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 30 პერსონალი: 15 აკადემიური პერსონალი (2 პროფესორი, 6 ასოცირებული პროფესორი, 7 ასისტენტ-პროფესორი) , 9 სამეცნიერო პერსონალი, 15 აფილირებული აკადემიური პერსონალი.

საგანმანათლებლო პროგრამა ძირითადად პასუხობს უნივერსიტეტის მისიას და ხარისხის შიდა სტანდარტებს. პროგრამა უზრუნველყოფილია მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, პროგრამაზე სწავლების ენა - ქართული.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის MES 3 23 0000139811 /08/02/2023 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი 5 წევრისგან: თამარ სანიკიძე - ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი (თავმჯდომარე); ნინო ჩხარტიშვილი - პროფესორი (წევრი); ირმა ქურდაძე - წევრი; ნინო ქოთოლაშვილი - წევრი, ნატალია ცქიტიშვილი (წევრი).

[4] პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

ექსპერტთა ჯგუფს ახლდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელი, უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი - ანა ჯავახიშვილი და უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი - თემურ თექთუმანიძე .
ბრძანების შესაბამისად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა „სასურსათოს ტექნოლოგია“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების შეფასების მიზნით, უსდ-ს მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის საფუძველზე, იმუშავა დაწესებულების მიერ მოწოდებულ მასალებზე დაყრდნობით.

ექსპერტთა ჯგუფმა უსდ-ში ვიზიტი განახორციელა 2023 წლის 23 თებერვალს. ამავე დღეს მოხდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება.
ვიზიტის მსვლელობისას შეხვედრები და ინტერვიუები გაიმართა: უსდ- ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან; აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ პერსონალთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან, უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებთან; დათვალიერებისას - ბიბლიოთეკის და ლაბორატორიების მმართველებთან. გასაუბრებების დროს ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოხდა დამატებითი დოკუმენტაციის ნუსხის გაზიარების მოთხოვნა, უსდ-ს წარმომადგენელის მხრიდან აკრედიტაციის ვიზიტის დროს მოხდა აღნიშნული დამატებითი დოკუმენტაციის ელ. ვერსიების გაზიარება.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**

1.1 პროგრამის მიზნები - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.5 სასწავლო კურსი/საგანი - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.4 სტუდენტების შეფასება - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

4.1 ადამიანური რესურსი- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.4 მატერიალური რესურსი- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

5.1 შიდა ხარისხის შეფასება- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- **რეკომენდაციები**

1. **რეკომენდებულია პროგრამის მიზნები დაკორექტირდეს და საერთაშორისო და ადგილობრივი სტანდარტების შესაბამისად ტერმინოლოგიურად გასწორდეს**
2. **პროგრამის მიზნები და პროგრამის სწავლის შედეგები მოვიდეს შესაბამისობაში სასწავლო კურსების განახლების და ზოგიერთი კურსის დამატების საფუძველზე**
3. **პროგრამის სწავლის შედეგები დაკორექტორდეს და შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამაში შეტანილ ახალ სასწავლო კურსების საფუძველზე, რომელიც პროგრამას გახდის სრულყოფილს და პროფილს გააფართოვებს.**
4. **სრულყოფილი, კვალიფიციური, პროფესიული და რეგიონის სტრატეგიიდან გამომდინარე, ინტერესების და კვალიფიკაციის გაფართოების მიზნით მიზანშეწონილია პროგრამა გამდიდრდეს ისეთი სასწავლო კურსებით, როგორიცაა: ხორცისა და ხორცის პროდუქტების, რძისა და რძის პროდუქტების, თევზის და საკონდიტრო წარმოების თემატიკები, რაც უზრუნველყოფს დასაქმების სფეროს გაზრდას.**
5. **დაზუსტებული სწავლის შედეგების გათვალისწინებით სასწავლო შედეგების რუქის დაკორექტირება;**
6. **დარგში არსებული თანამედროვე, აღიარებული სტანდარტების და ტერმინოლოგიის გამოყენებით სილაბუსების დახვეწა და ცვლილებების განხორციელება ; („კვების პროდუქტების წარმოების პროცესები და აპარატები“, „კვების მრეწველობის ტექნოლოგიური მოწყობილობები“ „კვების პროდუქტების უსაფრთხოება“, „კვების პროდუქტების სტანდარტიზაცია, სერტიფიცირება’, კვების პროდუქტების ქიმია“, შრომის დაცვა“, „პროფესიული პრაქტიკა 1“, „პროფესიული პრაქტიკა 2“, „ტექნიკური მიკრობიოლოგია“)**
7. **პროგრამის „სასურსათო ტექნოლოგია“ ყველა სასწავლო კურსში წარმოდგენილი მოცულობითი სწავლის შედეგები დაკორექტირდეს და გახდეს კომპაქტური;**
8. **თემატური სასწავლო სილაბუსების მიხედვით (ღვინის ტექნოლოგია, ლუდისა და უალკოლო სასმელების ტექნოლოგია და სხვ) სალექციო თემებში განხილული თემატური ტექნოლოგიები, ოპერაციები და მოწყობილობები გადანაწილდეს შესაბამისი თემატიკების მიხედვით საერთო სასწავლო სილაბუსში; ან პირიქით.**

9. პრაქტიკების სასწავლო სილაბუსში დაემატოს ხორცისა და რძის საწარმოში გასავლელი საწარმოო პრაქტიკის საათები;
10. გადაიხედოს და დაკორექტირდეს დატვირთვები. განისაზღვროს ყველა სასწავლო კურსებში ჯგუფში მუშაობის ფორმა (პრაქტიკული/სემინარი), და შესაბამისად გაიწეროს მისი შეფასების კრიტერიუმები;
11. სასწავლო კურსის ლიტერატურიდან ამოღებულ იქნას პროფესიული სასწავლებისთვის განკუთვნილი ლიტერატურა და გადატანილ იქნას დამატებით ლიტერატურაში მაგ: პუტცი, შაფათავა -ნაცვლიშვილი, და სხვ.
12. პროგრამის განმახორციელებელმა აკადემიურმა პერსონალმა პერმანენტულად განახორციელოს დარგის უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული სასწავლო მასალებით სალექციო თემატიკის გამდიდრება და შესაბამისი ლიტერატურით უზრუნველყოფა.

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1. სასურველია პროგრამის ყველა მიზანი პასუხობდეს პროგრამის სახელწოდებას რაც უფრო გააადვილებს პროგრამის არსის უკეთ გააზრებას
2. სასურველია, პროგრამის სამუშაო ჯგუფის მიერ მოხდეს დაკორექტირებული პროგრამის მიზნების შესაბამისად სწავლის შედეგების დაკორექტირება;
3. პროგრამის განვითარების მიზნით საერთაშორისო ურთიერთობების განვითარება, ინტერნაციონალიზაცია, რომელიც არის სწავლების განვითარების და საერთაშორისო ბაზარზე ორიენტირებული კადრის მომზადების საფუძველი;
4. სასურველია სილაბუსებში მეტად იყოს გამოყენებული თანამედროვე ლიტერატურა
5. გადაიხედოს საგნის სილაბუსები და განახლდეს ლიტერატურა;
6. გამოყენებულ იქნას ინგლისურენოვანი ლიტერატურა.
7. სილაბუსებში წარმოდგენილი მეცადინეობები დაკონკრეტდეს და დაკორექტირდეს პრაქტიკული და ლაბორატორიული სამუშაოები სასწავლო კურსებში გაწერილი მეცადინეობის მიხედვით.
8. სასურველია, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში იყოს დამატებული საბუნებისმეტყველო საგნები (ქიმია ან ბიოლოგია)
9. გასაჩივრების პროცედურის გამარტივების მიზნით სასურველია, რომ სტუდენტის საჩივარი პირდაპირ კომისიამ განიხილოს, სადაც ლექტორს შესაძლებლობა ექნება დააფიქსიროს შეფასებასთან დაკავშირებული პოზიცია.
10. სასურველია, რომ მეტი ობიექტურობისთვის საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასების 30 ქულა შემცირდეს 20 ქულამდე.
11. სასურველია, პროგრამას გარე შეფასების ნაწილში ჰყავდეს არამარტო ქართველი გარე შემფასებელი, არამედ უცხოელი ექსპერტიც.

რეკომენდაციების და რჩევების ჩამოყალიბების და ექსპერტთა ჯგუფის მიერ შედეგების შეჯერების შემდგომ, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ გაუზიარა დასკვნის პროექტი სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრს. აღნიშნულ დასკვნის პროექტზე უსდ-ს მიერ იქნა წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია. ექსპერტთა ჯგუფმა, მსჯელობის შედეგად, ძალაში დატოვა შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები, რომლის გაუმჯობესებაც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო პროგრამის დახვეწას და სწავლის შედეგების სრულფასოვნად მიღწევას.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[5]

- ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

[5] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამას აქვს ჩამოყალიბებული შემდეგი მიზნები:

1. შეასწავლოს სტუდენტს ზუსტი, საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული მეცნიერებების საფუძვლები.
2. შეასწავლოს სტუდენტს სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის სასაქონლო დამუშავების და შენახვის საკითხები; ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავების ტექნოლოგიები; პურპროდუქტების, უალკოჰოლო სასმელების, ღვინის, ლუდის, ლიქიორისა და არყის დამზადების ძირითადი ტექნოლოგიური პროცესები და ოპერაციების მართვა; ჩაის ფოთლისა და სხვა ტექნიკური კულტურების გადამუშავების ტექნოლოგია; კვების მრეწველობის ტექნოლოგიური მოწყობილობები.
3. შეასწავლოს სტუდენტს პროდუქციის ხარისხის კონტროლის მეთოდები; უსაფრთხო სურსათის წარმოების ტექნოლოგიური პროცესები და საშიშროების კვლევის სისტემები; კვების პროდუქტების ქიმიური შემადგენლობის განსაზღვრის და მათი ნორმატიულ დოკუმენტებთან შესაბამისობის დადგენის მეთოდები; ეკოლოგიისა და შრომის უსაფრთხოების საფუძვლები.
4. მოამზადოს სასურსათო ტექნოლოგიაში თეორიულ და პრაქტიკულ საქმიანობაზე ორიენტირებული, თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, ცვალებად პროფესიულ გარემოსთან ადვილად ადაპტირებადი სპეციალისტი, რომელიც იქნება მაღალი მოქალაქეობრივი შეგნების პრინციპების მატარებელი თავისუფალი პიროვნება.

პროგრამა არის მიმართული აღზარდოს დარგის სპეციალისტები, პრაქტიკული განვითარების კუთხით.

უსდ-ში ვიზიტის და გასაუბრებების დროს კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან, გამოიკვეთა პროგრამის აქტუალობა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად საჭირო ახალგაზრდა კადრების საჭიროება. ასევე ახალ ტექნოლოგიებზე ცოდნის ხელმისაწვდომობის საჭიროება.

უსდ-ს მხრიდან პროგრამის შეთავაზების მიზეზი და მიზანია, სურსათის პროდუქტების წარმოების სფეროს განვითარების თანამედროვე გამოწვევები, საქართველოს შრომის ბაზრის მოთხოვნები, მეწარმეთაგან მზარდი მოთხოვნა საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების მცოდნე კვალიფიციურ კადრებზე. შესაბამისად პროგრამის მიზნები უნდა პასუხობდეს უსდ-ს მიზნებს :

1. უნივერსიტეტმა მნიშვნელოვანი სოციალური როლი უნდა შეასრულოს რეგიონისა და ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში;

2. უნივერსიტეტში მიღებული განათლება უნდა იყოს თანამედროვე სტანდარტების, მაღალი აკადემიური ხარისხის და დასაქმებაზე
ორიენტირებული;
3. უნივერსიტეტში განხორციელებული კვლევა უნდა იყოს ღირებული, ფუნდამენტური და პრაქტიკული მნიშვნელობის

პროგრამის 1 მიზნიდან გამომდინარე: შეასწავლოს სტუდენტს ზუსტი, საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული მეცნიერებების საფუძვლები - აშკარად ხაზგასმულია პროგრამის ჰუმანიტარულ და საბუნებისმეტყველო მხარეზე, თუმცა პროგრამა არის სასურსათო ტექნოლოგია, რომლის კურსდამთავრებულს ექნება სასურსათო ტექნოლოგიის დარგების წარმოების თანამედროვე თეორიული და პრაქტიკული, მათ შორის ტექნოლოგიური სქემების ცოდნა და სხვ. ნიშანდობლივია, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობად არ არის მითითებული საბუნებისმეტყველო საგნები (ქიმია, ბიოლოგია), შესაბამისად ბუნდოვანია საბაზისო ცოდნის მოთხოვნის გარეშე, როგორ გააღრმავებენ ცოდნას და რამდენად მიღწევადი იქნება პირველი მიზანი.

პროგრამის მე-2 მიზანი მოიცავს: შეასწავლოს სტუდენტს სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის სასაქონლო დამუშავების და შენახვის საკითხები; ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავების ტექნოლოგიები; პურპროდუქტების, უალკოჰოლო სასმელების, ღვინის, ლუდის, ლიქიორისა და არყის დამზადების ძირითადი ტექნოლოგიური პროცესები და ოპერაციების მართვა; ჩაის ფოთლისა და სხვა ტექნიკური კულტურების გადამუშავების ტექნოლოგია; კვების მრეწველობის ტექნოლოგიური მოწყობილობები.

როდესაც სურსათის ტექნოლოგის სპეციალისტის მომზადება ხდება, პროგრამის სასწავლო კურსი სრულად უნდა მოიცავდეს სრულად სურსათს და მათ ტექნოლოგიას. სხვა შემთხვევაში ამ პროგრამაზე სწავლის მსურველები შედიან შეცდომაში. სილაბუსებში არ არის ხორცი და ხორცპროდუქტები, რძე და რძის პროდუქტები, თევზი, საკონდიტრო წარმოება.

მესამე მიზანი : შეასწავლოს სტუდენტს პროდუქციის ხარისხის კონტროლის მეთოდები; უსაფრთხო სურსათის წარმოების ტექნოლოგიური პროცესები და საშიშროების კვლევის სისტემები; კვების პროდუქტების ქიმიური შემადგენლობის განსაზღვრის და მათი ნორმატიულ დოკუმენტებთან შესაბამისობის დადგენის მეთოდები; ეკოლოგიისა და შრომის უსაფრთხოების საფუძვლები. ტერმინოლოგიურად არის გასამართი (მაგ. საშიშროების კვლევის სისტემები, რაც არასწორად არის გადმოთარგმნილი და უნდა იყოს საფრთხის კვლევის სისტემები). მიზანში სწორად არის შრომის უსაფრთხოება ტერმინი, თუმცა სასწავლო კურსი არის შრომის დაცვა, რაც საჭიროებს შესაბამისობას მიზანსა და სასწავლო კურსს და შესაბამისად სწავლის შედეგებს შორის.

პროგრამის მიზნებს სჭირდება ტერმინოლოგიურად გამართვა (მაგ. საშიშროების კვლევა) და წარმოდგენილი მიზნების სწავლის შედეგებთან მეტი რელევანტურობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. საგანმანათლებლო პროგრამა;
2. თვითშეფასების დოკუმენტი;
3. სასწავლო სილაბუსები;
4. ამსაქმებლების გამოკითხვა;
5. გარე შეფასება;
6. ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების წესის დამტკიცების შესახებ აკად. საბჭოს დადგენილება #06-01/54; 14 ივლისი, 2022;

რეკომენდაციები:

- **რეკომენდებულია პროგრამის მიზნები დაკორექტირდეს და საერთაშორისო და ადგილობრივი სტანდარტების შესაბამისად ტერმინოლოგიურად გასწორდეს**

- **პროგრამის მიზნები და პროგრამის სწავლის შედეგები მოვიდეს შესაბამისობაში სასწავლო კურსების განახლების და ზოგიერთი კურსის დამატების საფუძველზე**

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- **სასურველია პროგრამის ყველა მიზანი პასუხობდეს პროგრამის სახელწოდებას რაც უფრო გააადვილებს პროგრამის არსის უკეთ გააზრებას**

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1.1 პროგრამის მიზნები	☐	☒	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშიდან ჩანს რომ სასურსათო ტექნოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა წარმოადგენს ახალ პროგრამას, რომელიც შემუშავებულია ბაკალავრის დონისადმი ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნების შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამის „სასურსათო ტექნოლოგია“ შემუშავების პროცესში ჩართული იყო უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალი, დამსაქმებელი და 2017-2018 წლის კურსდამთავრებული; პროგრამის სწავლის შედეგები განისაზღვრა სამუშაო ჯგუფის მიერ დაინტერესებული მხარეების - პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის, ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ჩართულობით. ასევე ჩართული იყო დამსაქმებლი. პროგრამის სწავლის შედეგები ასახავენ წარმოდგენილი პროგრამის მიზნებს და შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას „სასურსათო ტექნოლოგიის ბაკალავრი“ და უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს ბაკალავრიატის საფეხურის აღმწერის სათანადო დონეს.

პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწერვად პროგრამაში შემუშავებულია სასწავლო კომპონენტები/საგნები. ყოველი სასწავლო კურსის სილაბუსში გაწერილია სწავლის შედეგი, ხოლო სწავლის შედეგებისათვის კი შერჩეული შესაბამისი შეფასების მოთედები. შეფასება ხდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, რომელიც ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას და მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს და საშუალებას იძლევა დადგინდეს, თუ რამდენად მიაღწიეს კურსდამთავრებულებმა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს.

საგანამანთლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშიდან, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა, მათ შორის გარე შეფასების დოკუმენტის და აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში საექსპერტო ჯგუფის უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან შეხვედრის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „სასურსათო ტექნოლოგია“ აგებულია რეგიონში დარგის მიმართ არსებული მოთხოვნების შესაბამისად, ასევე გათვალისწინებულია სახელმწიფოებრივი

მიდგომები და მსოფლიო ტენდენციები, დასაქმების ბაზრის მოთხოვნები და გარკვეული წვლილი შეაქვს სფეროს და საზოგადოების განვითარებაში შესაბამისი კომპეტენციების, სასურსათო ტექნოლოგის ბაკალავრის კვალიფიკაციის მქონე კადრების მომზადებით, რომლებიც დასაქმდება სურსათის მწარმოებელ, სასოფლო-სამეურნაო ნედლეული გადამამუშავებელ საწარმოებში, სასწავლო და სამეცნიერო კვლევით დაწესებულებებებში, შესაბამის სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებში, სწავლის გაგრძელებას შეძლებს მაგისტრატურის მიმართულებით;

წარმოდგენილი სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებს ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას.

თუმცა გასათვალისწინებელია რამოდენიმე ფაქტორი, რომელმაც შესაძლებელია მოახდინოს პროგრამის მიზნებისა და შესაბამისად შედეგების კორექტირება. კერძოდ ექსპერთა ჯგუფმა მხედველობაში მიიღო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების სტრატეგიის(2021-2027)დოკუმენტი (http://adjara.gov.ge/uploads/Docs/6bfda228d2c84da6a27b7e540971.pdf), სადაც რეგიონის სხვა წამყვან დარგებთან ერთად ნახსენებია მეცხოველეობა- მესაქონლეობა, მეთევზეობა და მერძევეობა, რომელიც ჩადებულია რეგიონის განვითარების სტრატეგიაში. ამავე დოკუმენტში, მოყვანილია სტატისტიკური მონაცემები, რომელზე დაყრდნობითაც: „წარმოების საშუალო ღირებულება 2017 წელს 2014 წელთან შედარებით 37%-ით გაიზარდა. კოოპერატივების მომგებიანობა განსხვავებულია, არსებული ტენდენციით, შედარებით მცირე ზომის კოოპერატივები უფრო მომგებიანია. მომგებიანობის თვალსაზრისით ძირითადი ქვე სექტორები იყო მეფუტკრეობა, ბოსტნეული და რძის პროდუქტები. მათი შემოსავლები აქტივებიდან უფრო მაღალი იყო, ვიდრე ისეთი პროდუქტების ღირებულების ჯაჭვებისა, როგორებიც არის კენკროვანები, თხილი და მარცვლეული კულტურები, რომელთაც აქტივებიდან ყველაზე დაბალი შემოსავლები ჰქონდათ. საშუალო პოზიციაზეა კარტოფილი და მევენახეობა.“ სტრატეგიიდან გამომდინარე, რეგიონის სოფლის მეურნეობის და სასურსათო წარმოების თვალსაზრისით აუცილებელია კვალიფიკაციის გაფართოვება.

სრულყოფილი, კვალიფიციური და პროფესიული ინტერესების გაფართოების მიზნით მიზანშეწონილია პროგრამაში გათვალისწინებული იყოს რძის და რძის პროდუქტების, ხორცის და ხორცპროდუქტების, თევზის და საკონდიტრო წარმოების სასწავლო კურსების დამატება.

აქედან გამომდინარე, პროგრამის სწავლის შედეგები უნდა დაკორექტორდეს და შესაბამისობაში უნდა მოვიდეს პროგრამაში შეტანილ ახალ სასწავლო კურსების საფუძველზე, რომელიც პროგრამას გახდის სრულყოფილს და პროფილს გააფართოვებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანამანთლებლო პროგრამა;
- სასწავლო სილაბუსები;
- ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების წესის დამტკიცების შესახებ აკად. საბჭოს დადგენილება #06-01/54; 14 ივლისი, 2022;
- შრომის ბაზრის ანალიზი;
- სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები;
-
- დამსაქმებელთა გამოკითხვა;
- გარე შეფასება;

რეკომენდაციები:

- პროგრამის სწავლის შედეგები დაკორექტორდეს და შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამაში შეტანილ ახალ სასწავლო კურსების საფუძველზე, რომელიც პროგრამას გახდის სრულყოფილს და პროფილს გააფართოვებს.
- სრულყოფილი, კვალიფიციური, პროფესიული და რეგიონის სტრატეგიიდან გამომდინარე, ინტერესების და კვალიფიკაციის გაფართოების მიზნით მიზანშეწონილია პროგრამა გამდიდრდეს ისეთი სასწავლო კურსებით, როგორიცაა: ხორცისა და ხორცის პროდუქტების, რძისა და რძის პროდუქტების, თევზის და საკონდიტრო წარმოების თემატიკები, რაც უზრუნველყოფს დასაქმების სფეროს გაზრდას.
- დაზუსტებული სწავლის შედეგების გათვალისწინებით სასწავლო შედეგების რუქის დაკორექტირება;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, პროგრამის სამუშაო ჯგუფის მიერ მოხდეს დაკორექტირებული პროგრამის მიზნების შესაბამისად სწავლის შედეგების დაკორექტირება;
- პროგრამის განვითარების მიზნით საერთაშორისო ურთიერთობების განვითარება, ინტერნაციონალიზაცია, რომელიც არის სწავლების განვითარების და საერთაშორისო ბაზარზე ორიენტირებული კადრის მომზადების საფუძველი;

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	☐	☒	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

ვიზიტის ფარგლებში შესწავლილმა დოკუმენტაციამ და გასაუბრებათა სერიამ აჩვენა, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმებად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს შემდეგ საშუალებებს: საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და

განვითარების დეტალურ ინსტრუქციას, სილაბუსების ანალიზს; სხვადასხვა ტიპის შეფასებისთვის შემუშავებულ კითხვარს(სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები)

ხარისხის სამსახურის წარმომადგენლების თქმით, პროგრამის შეფასებისას ყურადღება ექცევა პროგრამის მიზნებისა და შედეგების რელევანტურობას, სწავლის შედეგების და პროგრამის მიზნების მკაფიოობას, გამოყენებული სწავლების მეთოდებით დასახული მიზნების მიღწევის შესალებლობას, შეფასების მეთოდების ადექვატურობას.

პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან საუბრისას ასევე გამოიკვეთა, რომ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად პროგრამის მესვეურებს აქვთ სხვადასხვა ტიპის რაოდენობრივი და თვისებრივი ინდიკატორები: პროგრამის თვითშეფასება, დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციების შესაბამისობა - ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან; გამოკითხვების ანალიზი – პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის/მოწვეული პროფესორების/მასწავლებლების გამოკითხვის შედეგები: დამსაქმებელთა გამოკითხვა, როგორც შემუშავების, ასევე განხორციელებისა და უკვე კურსდამთავრებულების დასაქმებულობის პერიოდში მათი შემდგომი შეფასება, პროგრამის კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები; სტუდენტების აკადემიური მოსწრების მაჩვენებლის ანალიზი, პროგრამაზე სწავლის მსურველთა რეგისტრირებული განაცხადების რაოდენობა; სტუდენტთა დასაქმების მაჩვენებელი; პროგრამის კურსდამთავრებულთა საშუალო ქულა /GPA; სახელმწიფო სასწავლო გრანტის მქონე სტუდენტების რაოდენობა; პროგრამის მონაწილე სტუდენტების სპეციალობის და/ან არა სპეციალობის მიხედვით დასაქმების მაჩვენებელი;

შეხვედრებისას ინტერვიუებში აღინიშნა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ პროგრამის შეფასებისას რაოდენობრივი და თვისებრივი ინდიკატორების ურთიერთშეჯერებისა და ანალიზის საფუძველზე იზომება სწავლის შედეგები, რაშიც ასევე დიდი დატვირთვა აქვს პროგრამის შიდა და გარე შეფასებებს, პროგრამაში დაწესებულ სამიზნე ნიშნულებთან შესაბამისობების დადგენას. პროგრამის შემდგომი სრულყოფისა და განვითარების მიზნით ლექცია-სემინარებზე დასწრებას/შემუშავებული შეფასების რუბრიკის მიხედვით და შემდეგ სათანადო რეაგირებას/შესაბამისი რეკომენდაციების გაცემას.

ფაკულტეტის დეკანის თქმით, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან თანამშრომლობით ისინი შეიმუშავებენ კონკრეტულ რეკომენდაციებს პროგრამის განხორციელებისა და სწავლის შედეგების მიღწევისათვის, ასევე შემდგომი სრულყოფის მიზნით. შემდეგ რეკომენდაციები წარედგინება კურიკულუმის კომიტეტს, სადაც განიხილება და შემდგომ ეტაპზე განიხილება უკვე ფაკულტეტის აკადემიურ საბჭოზე - საბოლოოდ, მტკიცდება ბსუს აკდემიურ საბჭოზე.

ამ პროცესში აქტიურად მიმდინარეობს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანლიზიც, რაც შემდგომ გარკვეული რეკომენდაციების შემუშავების საფუძველი ხდება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- წარმოდგენილი პროგრამა
- პროგრამის თვითშეფასება
- სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებლეთა გამოკითხვება
- ბსუს ტექნოლოგიური ფაკუტეტის საბჭოს სხდომები
- ბსუს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 20 ოქტომბრის დადგენილება"ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული შეფასების შედეგების, შენიშვნების, რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ"
- პროგრამის სამუშაო ჯგიფის ოქმები
- 2018 წლის 20 თებერვლის #23 დადგენილება:"გამცდების ჩატარების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ"
- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები:

- o წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- o არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	☒	☐	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- ➢ პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- ➢ პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამა „სასურსათო ტექნოლოგია" შედგენილია ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 14 ივლისის #03-01/58 დადგენილების „ბსუ-ს საგანამანთლებლო პროგრამების შემუშავების დამტკიცებისა და განვითარების წესის" მიხედვით; ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამები შემუშავებულია მოქმედი კანონდმადებლბისა და კრედიტების სტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) საფუძველზე.

სასურსათო ტექნოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ხანგრძლივობაა 4 წელიწადი (8 სემესტრი) და პროგრამის მოცულობა შეადგენს 240 ECTS კრედიტს. პროგრამა მოიცავს სასწავლო კურსების ერთობლიობას, რომელიც შედგება სპეციალობის სავალდებულო - (180 კრედიტი) სასწავლო კურსებისგან, რომელშიც შედის: არჩევითი სასწავლო კურსები (სულ 15 კრედიტი), პროფესიული პრაქტიკა (სულ 10 კრედიტი) და საბაკალავრო ნაშრომი (სულ 10 კრედიტი) ; თავისუფალი სასწავლო კურსებისათვის დათმობილია -60 კრედიტი. ბსუ-ს მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში „პროგრამა სასურსათო ტექნოლოგია“ ვკითხულობთ: თავისუფალი კომპონენტის სახით სტუდენტის მიერ შეიძლება არჩეული იქნას ნებისმიერი სასწავლო კურსი საუნივერსიტეტო სივრციდან“ (გვ.8).

- მნიშვნელოვანია, რომ დაწესებულებამ თავად მიაწოდოს სტუდენტს თავისუფალი კომპონენტების სასწავლო კურსები, რომელიც მორგებული იქნება თემატიკაზე და კიდევ უფრო გაამყარებს ბაკალავრის დარგობრივ ცოდნას. შესაბამისად, სასწავლო გეგმასა და სასწავლო კურსებში ჩაიდოს არჩევითი საგნების დასახელებები შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებით.
- პროგრამაში სწავლის შედეგების მიღწევა გათვალისწინებულია სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსებით, პროფესიული პრაქტიკით, საბაკალავრო ნაშრომის მომზადებით. დებულება ბაკალავრიატის შესახებ და ბაკალვრის აკადემიური ხარისხის მოსაპოველბლად წარდგენილი ნაშრომის გაფორმების ინსტრუქცია;

პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებში ეთმობა მხოლოდ **ინგლისური ენის შესწავლას** (5 კრედიტი) სასურველია ინგლისურ ენასთან ერთად წარმოდგენილი იყოს სხვა ენებიც (ფრანგული, გერმანული, რუსული) და შესაბამისად ეს გადატანილ იყოს არჩევით ბლოკში. უცხო ენის შესწავლა მორგებული იქნება აბიტურიენტზე, შემდეგ უკვე სტუდენტზე, რაც საშუალებას მისცემს დარგობრივი ტექტებისათვის სპეციფიკური რთული გრამატიკული კონსტრუქციების ათვისებას.

08/05/2012 წლის საქართველოს კანონის „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი“, მუხლი #2-ის მიხედვით, განმარტებულია: ა) სურსათი – ადამიანის საკვებად განკუთვნილი ნებისმიერი გადამუშავებული, ნაწილობრივ გადამუშავებული ან გადაუმუშავებელი პროდუქტი. სურსათი ასევე მოიცავს ყველა სახის სასმელს (მათ შორის, სასმელ წყალს), საღეჭ რეზინს და სურსათში გამოსაყენებელ ნებისმიერ ნივთიერებას (წყლის ჩათვლით), რომელიც გამოიყენება სურსათის შემადგენლობაში მისი წარმოებისა და გადამუშავების დროს. სურსათი არ მოიცავს: ცხოველის საკვებს, ცოცხალ ცხოველებს (გარდა იმ ცხოველებისა, რომლებიც გამზადებულია ბაზარზე განსათავსებლად, ადამიანის მიერ მოხმარებისათვის), მცენარეებს (მოსავლის აღებამდე), სამკურნალო და ჰომეოპათიურ საშუალებებს, თამბაქოს და თამბაქოს პროდუქტებს, ნარკოტიკულ საშუალებებს და ფსიქოტროპულ ნივთიერებებს, კოსმეტიკურ საშუალებებს, ნარჩენებსა და დამაბინძურებლებს; ამავე მუხლში ვკითხულობთ - ზ) ცხოველის საკვები – ცხოველის საკვებად გამოსაყენებელი ნებისმიერი გადამუშავებული, ნაწილობრივ გადამუშავებული ან გადაუმუშავებელი ნივთიერება ან პროდუქტი (საკვებდანამატის ჩათვლით).

აქედან გამომდინარე, სასწავლო კურსებში არსებული სახელები, როგორიცაა: „კვების პროდუქტების წარმოების პროცესები და აპარატები“, „კვების მრეწველობის ტექნოლოგიური მოწყობილობები“ „კვების პროდუქტების უსაფრთხოება“, „კვების პროდუქტების სტანდარტიზაცია, სერტიფიცირება’, კვების პროდუქტების ქიმია“, შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს: „სასურსათო ტექნოლოგიები წარმოების პროცესები და აპარატები“, „სასურსათო წარმოების ტექნოლოგიური მოწყობილობები“, „სასურსათო პროდუქტების უსაფრთხოება“, „სასურსათო პროდუქტების სტანდარტიზაცია, სერტიფიცირება’, „სურსათის ქიმია“.
19/02.2019 წლის საქართველოს ორგანული კანონის „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ მიხედვით განსაზღვრულია შრომის უსაფრთხოება და ჯანმრთელობის დაცვა, შესაბამისად სასწავლო სილაბუსი „შრომის დაცვა“ ჩამოყალიბდეს როგორც „შრომის უსაფრთხოება“;
სასწავლო კურსი „ტექნიკური მიკრობიოლოგია“ - ჩამოყალიბდეს „სურსათის წარმოების მიკრობიოლოგია“
„ხილისა და ბოსტნეულის დაკონსერვების ტექნოლოგია“ ჩამოყალიბდეს, როგორც „საკონსერვო ტექნოლოგია“

„კვების პროდუქტების უსაფრთხოება“ სასწავლო კურსის მიზანში წერია პრერეკვიზიტული პროგრამები (GHP, GMP და Global Gap) მათი მნიშვნელობა და გამოყენება. Global Gap ვერ იქნება პრერეკვიზიტული პროგრამა, რამეთუ ის არის ფერმაში სტანდარტი, და არა საწარმოში. ხოლო თუ საუბარია სურსათის უსაფრთხოებაზე სრულად და არა სურსათის უვნებლობაზე, მაშინ სასწავლო კურსში უნდა ისწავლებოდეს სრულად (VACCP, HACCP, TACCP)
სავალდებულო სასწავლო კურსი მოიცავს „პროფესიულ პრაქტიკა 1“ და „პროფესიულ პრაქტიკა 2“. მართალია სიტყვა პროფესიული - მიუთითებს ბაკალავრის პროფესიის მიხედვით ჩატარებული პრაქტიკის გავლას, თუმცა, შეიცვალო და ჩამოყალიბდეს:
„საწარმოო პრაქტიკა სასურსათო ტექნოლოგიაში - 1“;
„საწარმოო პრაქტიკა სასურსათო ტექნოლოგიაში - 2“
შესაბამისად მოხდეს ზემოთ მითითებული ტერმინოლოგიის ცვლილება ყველა სასწავლო სილაბუსების სალექციო და სასემინარო თემატიკაში არსებობის შემთხვევაში;
სასწავლო კურსის ძირითად ნაწილში დაემატოს ხორცისა და ხორცის პროდუქტების წარმოება, რძისა და რძის პროდუქტების წარმოება, რომელის განხორციელება შესაძლება შემდეგ ნაირად:
10 კრედიტიანი სასწავლო კურსები: „საბაკალავრო ნაშრომის შესრულება“ და „ხილისა და ბოსტნეულის დაკონსერვების ტექნოლოგია“ გახდეს 5 კრედიტი და გამოთავისუფლებული 2 საგნის– 5 კრედიტიანი საათი ჩანაცვლდეს ზემოთ მითითებული სასწავლო კურსებით;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- წარმოდგენილი პროგრამა;
- სასწავლო სილაბუსები;

რეკომენდაციები:

- **დარგში არსებული თანამედროვე, აღიარებული სტანდარტების და ტერმინოლოგიის გამოყენებით სილაბუსების დახვეწა და ცვლილებების განხორციელება ;** („კვების პროდუქტების წარმოების პროცესები და აპარატები“, „კვების მრეწველობის ტექნოლოგიური მოწყობილობები“ „კვების პროდუქტების უსაფრთხოება“, „კვების პროდუქტების სტანდარტიზაცია, სერტიფიცირება’, კვების პროდუქტების ქიმია“, შრომის დაცვა“, „პროფესიული პრაქტიკა 1“, „პროფესიული პრაქტიკა 2“, „ტექნიკური მიკრობიოლოგია“)

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- **სასურველია სილაბუსებში მეტად იყოს გამოყენებული თანამედროვე ლიტერატურა**

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	☐	☒	☐	☐

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსები ქრონოლოგიურად ვითარდება. დისციპლინების შესწავლა მიმდინარეობს ლოგიკური თანმიმდევრობით და ატარებს კომპლექსურ ხასიათს. ზოგიერთ შემთხვევაში კონკრეტული საგანი მომდევნო საგნის შესწავლის წინაპირობას წარმოადგენს.
სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სასურსათო პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიების აქტუალურ საკითხებზე, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამაში გათვალისწინებულია ზოგადი საგნების სასწავლო კურსები (სილაბუსები), რომლებიც შედგენილია იმგვარად, რომ სტუდენტს გაუადვილდეს სპეციალობის საგნების შესაწავლა და წარმოადგენს სპეციალობის საგნებზე დაშვების წინაპირობებს.
თუმცა არის ხარვეზებიც:
მაგ. სასწავლო კურსში „კვების პროდუქტების წარმოების პროცესები და აპარატები“ ჯგუფში მუშაობა სინამდვილეში წარმოადგენს პრაქტიკული ამოცანების ამოხსნას, ბალანსის წარმოებას, და სხვ. აღნიშნულ სილაბუსში დასაკორექტირებელია პრაქტიკული საათების შეფასების სისტემა;
სასწავლო კურსს სტუდენტები გადიან 2011 წელს გამოცემული ლიტერატურით, თუმცა 2017 წელს გამოიცა ახალი ლიტერატურა საკვები პროდუქტების წარმოების პროცესები და აპარატები, რომელიც განკუთვნილია ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის სპეციალობის სტუდენტებისათვის.
ამავე სილაბუსის მიზანია, როგორც სასწავლო კურსის ავტორი აღნიშნავს შეასწავლოს კვების საწარმოთა პროცესების და მანქანა-აპარატების გაანგარიშების მეთოდები, რომელიც უნდა მოიცავდეს სავარჯოში ამოცანებს რაც არ არის წარმოდგენილი ლიტერატურაში;

სილაბუსში პურ-პროდუქების წარმოების ტექნოლოგია ისწავლება 2001, 2006 წელს გამოცემული ძირიტადი ლიტერატურით მათ შორის არის 2012 წელს გამოცემული ლიტერატურით. ამ მიმართლებით 2022 წელს გამოიცა პურის, მაკარონისა და საკონდიტრო საწარმოთა ტექნოლოგიური მოწყობილობები, რომელიც ასევე განკუთვნილია ამ მიმართულებით საბაკალავრო სტუდენტებისათვის. და სხვ
სასწავლო კურსში „კვების მრეწველობის ტექნოლოგიური მოწყობილობები“ შედგება სალექციო თემებისა და შესაბამისი ჯგუფური მუშაობის საათით, სინამდვილეში ეს წარმოადგენს პრაქტიკულ მეცადინეობას, თუმცა არ არის წარმოდგენილი პრაქტიკულის შეფასება და ასევე არ არის მინიშნებული პრაქტიკული მეცადინეობის სახელმძღვანელო.
სასწავლო კურსის „ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების წარმოების ტექნოლოგია“, მიზანს წაროადგენს შეასწავლოს სტუდენტს ლუდისა და ალკოჰოლური სასმელების წარმოების ტექნოლოგია, ტექნოლოგიური პროცესებისა და ტექნოლოგიური მოწყობილობების ძირითადი საკითხები - ეს უკანასკნელი წარმოადგენს ასევე სასწავლო სილაბუსის „კვების პროდუქტების წარმოების პროცესები და აპარატები“ მიზანს, სადაც ასევე განხილულია VIII სალექციო თემაში აღნიშნული საკითხი;
სილაბუსი „ლუდისა და ალკოჰოლური სასმელების წარმოების ტექნოლოგია წარმოადგენს 5 კრედიტიან საგანს დატვირთვა გადანაწილებულია შემდეგ ნაირად:
ლექცია -14 სთ; ლაბორატორიული - 43 საათი, თუმცა, ამავე სილაბუსის სწავლის შედეგს წარმოადგენს: ლუდის კლასიფიკაციების, მისი ტიპებისა და ცაკლეული სახეობების აღწერა, ლუდის წაროებაში გამოყენებული ნედლეულის დახასიათება და სხვ. გამომდინარე აქედან რეკომენდირებულია 5 კრედიტიანი საგნის დაყოფა: ლექცია, სემინარი და ლაბორატორიული. სწორედ სემინარი სტუდენტს საშუალებას მისცემს თავი მოუყაროს იმ საკითხებს და წარმოადგინოს ისინი სემინარის სახით რის შედეგზეც გადის თავად სილაბუსი. მსგავსი ცდომილებები არის სხვა სასწავლო სილაბუსებშიც;
სასწავლო კურსში „ ღვინის ტექნოლოგია“ სწავლის შედეგი აღწერილია შემდეგნაირად:

ადგენს რთველის ოპტიმალურ თარიღს; რაც შეეხება სალექციო თემას პირველ კვირაში ლაბორატორიულ სამუშაოში წარმოდგენილია ყურძნის მექანიკური შედგენილობის განსაზღვრა და ყურძნის წვენში მშრალი ნივთიერებების განსაზღვრა; აღნიშნული სასწავლო სილაბუსი კი ისწავლება საგაზაფხულო სემესტრში, მაშინ როდესაც ჯერ კიდევ ვენახში მიმდინარეობს საგაზაფხულო სამუშაოები.
სასურველია ამ სასწავლო სილაბუსის გავლისთვის ზუსტი პერიოდის შერჩევა და შესაბამისად დატვირტვა: ლექცია, სემინარი და ლაბორატორიული.
შესაბამისი სილაბუსების გაცნობის შედეგად გაირკვა, რომ სტუდენტები საკმარისად არ არიან ჩართული პრაქტიკულ საქმიანობაში. სასწავლო სილაბუსში გაწერილია სტუდენტის დასწრების საათების რაოდენობა, თუმცა სასურველია გაიზარდოს საწარმოო უბანზე სტუდენტების დასწრების საათების რაოდენობა სათანადო დონემდე თემატიკებიდან გამომდინარე.
პროფესიულ სილაბუსებში რეკომენდირებულია საკითხების არ გადაფარვის მიზნით, მოხდეს შესაბამისი ტექნოლოგიური აპარატების, მოწყობილობებისა და ოპერაციების დაჯგუფება სასწავლო კურსების მიხედვით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სასწავლო პროგრამა;
- სასწავლო სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში

რეკომენდაციები:

- პროგრამის „სასურსათო ტექნოლოგია“ ყველა სასწავლო კურსში წარმოდგენილი მოცულობითი სწავლის შედეგები დაკორექტირდეს და გახდეს კომპაქტური;
- თემატური სასწავლო სილაბუსების მიხედვით (ღვინის ტექნოლოგია, ლუდისა და უალკოლო სასმელების ტექნოლოგია და სხვა) სალექციო თემებში განხილული თემატური ტექნოლოგიები, ოპერაციები და მოწყობილობები გადანაწილდეს შესაბამისი თემატიკების მიხედვით საერთო სასწავლო სილაბუსში; ან პირიქით.
- პრაქტიკების სასწავლო სილაბუსში დაემატოს ხორცისა და რძის საწარმოში გასავლელი საწარმოო პრაქტიკის საათები;
- გადაიხედოს და დაკორექტირდეს დატვირთვები. განისაზღვროს ყველა სასწავლო კურსებში ჯგუფში მუშაობის ფორმა (პრაქტიკული/სემინარი), და შესაბამისად გაიწეროს მისი შეფასების კრიტერიუმები;
- სასწავლო კურსის ლიტერატურიდან ამოღებულ იქნას პროფესიული სასწავლებისთვის განკუთვნილი ლიტერატურა და გადატანილ იქნას დამატებით ლიტერატურაში მაგ: პუტცი, შაფათავა -ნაცვლიშვილი, და სხვ.
- პროგრამის განმახორციელებელმა აკადემიური პერსონალმა პერმანენტულად განახორციელოს დარგის უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული სასწავლო მასალებით სალექციო თემატიკის გამდიდრება და შესაბამისი ლიტერატურით უზრუნველყოფა. მაგ საკვები პროდუქტების წარმოების პროცესები და აპარატები გამოცემა 2017 წელი; კვების მრეწველობის საწარმოთა დაპროექტება - 2019 წელი; საკონსერვი საწარმოთა მოწყობილობები - 2021 წელს გამოცემული, 2018 წელს გამოცემული ავალიანის შ.“ღვინის ტექნოლოგია”მესამე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, ღვინის ანალიზები მცირე მარნებისთვის - ლაბორატოირული სახელმძღვანელო 2021 წლის გამოცემა; ასევე რეკომენდირებულია ინგლისურენოვანი დარგობრივი ლიტერატურა, რომელიც უცხო ენის გამყარების გარდა, გააძლიერებს ტერმინოლოგიის ცოდნას ინგლისურ ენაზე.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- გადაიხედოს საგნის სილაბუსები და განახლდეს ლიტერატურა;
- გამოყენებულ იქნას ინგლისურენოვანი ლიტერატურა.

- სილაბუსებში წარმოდგენილი მეცადინეობები დაკონკრეტდეს და დაკორექტირდეს პრაქტიკული და ლაბორატორიული სამუშაოები სასწავლო კურსებში გაწერილი მეცადინეობის მიხედვით.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	☐	☒	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ბაკალავრიატის აღნიშნულ პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მფლობელს, რომელიც ჩაირიცხება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ასევე უსდ-ს გათვალისწინებული აქვს გარე მობილობის წესით პროგრამაზე ჩარიცხვის მექანიზმიც. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შესაბამისობაშია მოქმედ კანონდებლობასთან. თუმცა უნივერსიტეტს არ აქვს დაშვება მაპროფილებელი საგნების (ბიოლოგია, ქიმია) მოთხოვნა მისაღებ გამოცდებზე, რაც უზრუნველყოფდა კარგი საბაზისო ცოდნით აბიტურიენტების მიღებას.

- საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება სრული ზოგადი განათლების მქონე პირი, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე (ჩასაბარებელი საგნები პრიორიტეტის მიხედვით: მათემატიკა, უცხო ენა, ქართული ენა)
- ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე პროგრმაზე ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში და დადგენილი წესით. კერძოდ, I. უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება; II. საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში; III. პირებისათვის, რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში
- სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან სტუდენტთა მობილობა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N 10/ნ ბრძანების შესაბამისად და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ნორმატიული აქტების საფუძველზე

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების დოკუმენტი;

რეკომენდაციები:

- o წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში იყოს დამატებული საბუნებისმეტყველო საგნები (ქიმია ან ბიოლოგია)

- o არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	☒	☐	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაში „სასურსათო ტექნოლოგია“ წარმოდგენილი საწარმოო პრაქტიკის კომპონენტი უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას.

უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმები შესაბამისი დარგის ორგანიზაციებთან, ამასთან, თანამშრომლობის მემორანდუმების საფუძველზე შემუშავებული კონკრეტული ხელშეკრულებები განსაზღვრავს სტუდენტთა რაოდენობას, რომელთა მიღებაც შეუძლია კონკრეტულ დამსაქმებელს პრაქტიკის განხორციელების მიზნით, პრაქტიკის ხანგრძლივობასა და დროს. სტუდენტი პრაქტიკის ფარგლებში იმუშავებს პრაქტიკის დღიურზე.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ინტერვიუების შედეგად დადასტურდა დამსაქმებელთა მჭიდრო თანამშრომლობა პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან, ამასთან, დამსაქმებელთა ინტერესი სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის მიმართ და პროგრამის კურსდამთავრებულების საჭიროება დასაქმების ბაზრისთვის. უშუალოდ აჭარაში და ასევე მეზობელ რეგიონებში გადამამუშავებელი კერძო სექტორი განიცდის კვალიფიციური კადრების დეფიციტს და მზად არიან კურსდამტავრებულები მიიღონ და შესძინონ პრაქტიკული ცოდნა და უნარები და დაასაქმონ საწარმოებში.

დამსაქმებელთა რაოდენობა და პრაქტიკის ობიექტებზე არსებული ადგილები ადეკვატურია პროგრამაზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობასთან მიმართებით. სტუდენტები პრაქტიკას გაივლიან პროგრამის სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის შესატყვის ორგანიზაციებში (უზრუნველყოფილია ასევე პრაქტიკის ობიექტების მრავალფეროვნება, მაგ. შპს PARK GIDA, შპს ანასეულის კომბინატი, შპს. ხილის გადამამუშავებელი საწარმო „კერკი“, შპს Georgian Asset management Group, შპს ვილ მარტი და სხვ.), პრაქტიკის ფარგლებში შესრულებული სამუშაო ეხმარება მათ მიაღწიონ პროგრამის სწავლის შედეგებს. ასევე დამკვიდრებული პრაქტიკაა, პროგრამის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმება პარტნიორ ორგანიზაციებში, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს პროგრამასა და შრომის ბაზარს შორის არსებულ კავშირს. თუმცა ასევე გასათვალისწინებელია უსდ-მიერ სილაბუსების დაკორექტირების შემთხვევაში ახალი პარტნიორი კომპანიების მოძიება და მემორანდუმების გაფორმება.

პრაქტიკული უნარების განვითარება უზრუნველყოფილია ასევე საგანმანათლებლო პროგრამის სხვადასხვა სასწავლო კურსის ფარგლებში, პრაქტიკული დავალებების შესრულების, ლაბორატორიებსა და დანადგარებზე მუშაობის გზით.

სტუდენტებს, ასევე შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ სტუდენტთა სხვადასხვა გაცვლით პროგრამებში, კონფერენციებში და გაიღრმავონ კვლევითი უნარები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, გამოიმუშაონ პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისი პრაქტიკული უნარები, ასევე უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის შესაბამისი კვლევითი უნარები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მემორანდუმები და ხელშკრულებები დამსაქმებლებთან/ პრაქტიკის ობიექტებთან;
- პრაქტიკის დღიურის ნიმუში;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები კურსდამტავრებულებთან და დამსაქმებლებთან

რეკომენდაციები:

- o წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- o არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	☒	☐	☐	☐

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის სასწავლო კომპონენტების განსახორციელებლად გამოიყენება: ლექცია, სემინარი, პრაქტიკული, ლაბორატორიული მუშაობა, პრაქტიკა, კონსულტაცია, დამოუკიდებელი მუშაობა. სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში) მოცემულია სწავლება - სწავლის მეთოდების შესაბამისი აქტივობები: დისკუსია/დებატები თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება; დემონსტრირება; ინდუქცია; დედუქცია; ანალიზი; სინთეზი; ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი; წერითი მუშაობა; ახსნა-განმარტებითი; ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება; პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია.

სწავლება-სწავლის მეთოდები უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში სტუდენტთა აქტიურ ჩართულობას, მაგალითად ძირითად სასწავლო კურსებში წარმოდგენილ ლაბორატორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობებზე გაზრდილია სტუდენტთა ჩართულობა. ჩართულობა იზრდება აგრეთვე პრაქტიკის მიმდინარეობის დროს.

სწავლება-სწავლის მეთოდები არის მოქნილი და ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამაში დაწერილი სწავლება-სწავლის მეთოდები უზრუნველყოფს როგორც პროგრამის კონკრეტული კომპონენტის, ისე მთელი პროგრამის მიზნებისა და შედეგების მიღწევას. ცალკეულ სილაბუსებში მოცემულია სწავლის/სწავლების ის კონკრეტული მეთოდები, რომლებიც შეესაბამება საგნის სპეციფიკურ მიზნებს და მისაღწევ შედეგებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სილაბუსები;
- ინტერვიუ
- საგანამნათლბელო პრგორამა
- თვითშეფასება

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	☒	☐	☐	☐

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასურსათო ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში სტუდენტთა შეფასება ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და თითოეულ სტუდენტზე ვრცელდება თანაბრად და სამართლიანად. უნივერსიტეტში სტუდენტთა შეფასების სისტემა კანანომდებლობის პარალელურად რეგულირდება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის N111 დადგენილებით „ბსუს ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესების მარეგულირებელი წესის“ მიხედვით.

სტუდენტი შეფასების სისტემა თითოეული კურსის სილაბუსშია მოცემული, სადაც წინასწარ, კვირების მიხედვითაა სტუდენტთა შეფასების სისტემაა გაწერილი. თითოეული სტუდენტი ყოველი სასწავლო

კურსის მიხედვით 100-ქულიანი შეფასების სისტემით ფასდება, რომელიც ჩაშლილია სამ შეფასების კომპონენტად (40 ქულა მიმდინარე შეფასება, 20 შუალედური შეფასება, ხოლო 40 დასკვნითი შეფასება). შესაბამისად, სტუდენტის საბოლოო შეფასებას განსაზღვრავს სწორედ სტუდენტის მიერ მოცემულ სამ კომპონენტში ჯამურად დაგროვილი ქულები. განსაზღვრულია შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის მინიმალური ზღვარი, შუალედური გამოცდის შემთხვევაში 35%, ხოლო დასკვნითი გამოცდის შემთხვევაში 50%. თითოეული კომპონენტის მიხედვით ცოდნის შეფასებისა და ამის მიხედვით ქულების დაგროვების კრიტერიუმები გაწერილია კონკრეტული სასწავლო კურსების სილაბუსებში, რაც სტუდენტთა შეფასების სამართლიანობასა და გამჭირვალობას უზრუნველყოფს უნივერსიტეტში დანერგილი სხვა შეფასებისა და მისი მონიტორინგის მექანიზმების პარალელურად. უნივერსიტეტში გამოცდების ჩატარებასა და მის მონიტორინგზე პასუხისმგებელია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც ასევე უზრუნველყოფს სტუდენტთა შეფასებების ანალიზს და მის გამოყენებას შედეგების გაუმჯობესების მიზნით. უნივერსიტეტი შეფასების გამჭირვალობისა და სამართლიანობის მიზნით დასკვნითი გამოცდა ტარდება საგამოცდო ცენტრში და გამოცდაზე სპეციალურად გამოყოფილი პირი თითოეული სტუდენტის ნაწერს დაშიფრულს გადასცემს ლექტორს. ლექტორი თავის მხრივ სტუდენტთა გამოცდას აფასებს და აკეთებს კომენტარებს, რათა სტუდენტს ჰქონდეს წარმოდგენა საკუთარი შეცდომებისა შესახებ, რაც იმას ნიშნავს, რომ სტუდენტები იღებენ შეფასების შესახებ უკუკავშირს. ამავდროულად უნივერსიტეტში დანერგილია შეფასების გასაჩივრების სისტემა, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს გაასაჩივროს შუალედური და დასკვნითი შეფასებები თუ ის არ ეთანხმებას კონკრეტულ შეფასებას. სტუდენტს შეუძლია გაასაჩივროს შეფასება შედეგის გაცნობიდან 3 დღის ფარგლებში. გასაჩივრებისთვის სტუდენტი მიმართავს დეკანატს, რის შემდეგაც დეკანატი ეცნობა ლექტორის პოზიციას და აწვდის სტუდენტს ლექტორის დასაბუთებულ პოზიციას, ხოლო თუკი სტუდენტი კვლავაც არ გაიზიარებს შეფასების სამართლიანობას მხოლოდ ამ შემთხვევაში გადაეცემა საჩივარი კომისიას. დადებითი ფაქტორია, რომ უნივერსიტეტის სტუდენტები ინფორმირებულები არიან გასაჩივრების პროცედურების შესახებ და მათ პრაქტიკაშიც უსარგებლიათ გასაჩივრების პროცედურით, რაც დგინდება სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგად. თუმცა გასაჩივრების პროცედურის გამარტივების მიზნით სასრუველია, რომ საჩივარი პირდაპირ გავიდეს კომისიაზე და ლექტორმა საკუთარი პოზიცია დააფიქსიროს კომისიაზე. როგორც წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ვლინდება საგამოცდო ცენტრში ჩაბარებული გამოცდის გასაჩივრება ხდება იმავე დღეს წერილობითი განაცხადის საფუძველზე და აპელაციას განიხილავს ლექტორი იმავე დღეს.

სტუდენტის საბოლოო შეფასება თითოეული კომპონენტის ჯამურად დაანგარიშების შემდგომ განისაზღვრება შემდეგნაირად:

სტუდენტს სასწავლო კურსი ათვისებულად ჩაეთვლება, თუ ის მიიღებს ერთ-ერთს შემდეგი დადებითი შეფასებებიდან: ა) (A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი; ბ) (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა; გ) (C) კარგი - 71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა; ე) (E) საკმარისი - 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია: (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება ეძლევა დამატებით გამოცდაზე ერთხელ კიდევ გავიდეს. (F) ჩაიჭრა - 40 ქულის ან ნაკლების მიღებისას სტუდენტს საგანი თავიდან აქვს შესასწავლი.

საბაკალავრო ნაშრომის შეფასებაც 100-ქულიანი სისტემით ხდება და ქულები ნაწილდება შემდეგნაირად - 30 ქულა მოდის ხელმძღვანელზე, 30 ქულა რეცენზენტის შეფასებაზე, ხოლო 40 ქულა კომისიაზე ნაშრომის დაცვისას. თუმცა მეტი ობიექტურობისთვის სასურველია, რომ ხელმძღვანელის შეფასების 30 ქულა შემცირდეს 20 ქულამდე და შესაბამისად, 10 ქულა გადანაწილდეს რეცენზენტის ან კომისიის შეფასებაზე.

სტუდენტთა შეფასების სანდოობასა და ვალიდურობას უნივერსიტეტი ზრდის აკადემიური კეთილსინდისიერების მექანიზმების არსებობით, რაც გულისხმობს პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენისა და მონიტორინგის სისტემას, რისთვისაც გამოიყენება ელექტრონული moodle პლატფორმა და Turnitin პლაგიატის სისტემა, რომელიც უნივერსიტეტმა 2018-2019 წლებში დანერგა საერთაშორისო პროექტის INTEGRITY-ის ფარგლებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- წარმოდგენილი დოკუმენტაცია
- სტუდენტებთან გასაუბრებების შედეგები
- სასწავლო პროცესების მარეგულირებელი წესი (აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის N111 დადგენილება)
- საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო კურსების სილაბუსები
- უნივერსიტეტის ვებგვერდი (bsu.edu.ge)

რეკომენდაციები:

- o წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- გასაჩივრების პროცედურის გამარტივების მიზნით სასურველია, რომ სტუდენტის საჩივარი პირდაპირ კომისიამ განიხილოს, სადაც ლექტორს შესაძლებლობა ექნება დააფიქსიროს შეფასებასთან დაკავშირებული პოზიცია.
- სასურველია, რომ მეტი ობიექტურობისთვის საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასების 30 ქულა შემცირდეს 20 ქულამდე.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.4 სტუდენტების შეფასება	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში შექმნილია სტუდენტზე ორიენტირებული გარემო, რომელიც სტუდენტს შესაძლებლობას აძლევს ისარგებლოს მრავალფეროვანი სტუდენტური შესაძლებლობებით და ჰქონდეს სრულყოფილი სტუდენტური ცხოვრება. შესაბამისად, სასურსათო ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიურ და კარიერულ განვითარებას. პროგრამაზე მისაღები სტუდენტთა რაოდენობის ყოველწლიური კვოტა არ აღემატება 20-ს, რის გამოც პროგრამა იძლევა სტუდენტებსა და ლექტორებს შორის უშუალო და ინდივიდუალური მუშაობის შესაძლებლობას, რაც დადებითი ფაქტორია. კუსდამთავრებულებთან, სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებებმა აჩვენა, რომ პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ მიიღონ დამატებითი კონსულტაციები სასწავლო პროცესების დაგეგმვასა და კარიერული განვითარების თვალსაზრისით.

სტუდენტების შეფასების მექანიზმები და კრიტერიუმები თითოეული სასწავლო კომპონენტის მიხედვით გაწერილია სასწავლო კურსების სილაბუსებში, რომელსაც თითოეული კურსის

ხელმძღვანელი სასწავლო სემესტრის დაწყებისთანავე აცნობს სტუდენტებს. სილაბუსებში ცოდნის შეფასების პერიოდი კვირების მიხედვით, ფორმა და შეფასების კონკრეტული კრიტერიუმებია გაწერილი, რაც იმას ნიშნავს, რომ სტუდენტები გამოცდების ჩატარების დროსა და ფორმატზე წინასწარ არიან ინფორმირებულები, რასაც ადასტურებს, როგორც სასწავლო სილაბუსები და საბაკალავრო პროგრამა, ასევე სტუდენტებთან და აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან გასაუბრების შედეგები. ფინალური და სხვა წერითი გამოცდები ტარდება საგამოცდო ცენტრში, რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა შეფასების გამჭირვალობასა და სამართლიანობას. გამოცდების ჩატარების წესს არეგულირებს 2018 წლის 20 თებერვლის N23 დადგენილება გამოცდების ჩატარების ინსტრუქციის შესახებ, სადაც გაწერილია გამოცდების დანიშვნისა და ჩატარების პროცედურები. სტუდენტებთან გასაუბრებებმა აჩვენა, რომ საგამოცდო ცენტრში ჩატარებული გამოცდებისას მათი ნაწერები იშტრიხება და მხოლოდ დაშტრიხული მიეწოდება შესაბამის ლექტორს შესაფასებლად. ასევე, კურსდამთავრებულებთან და სტუდენტებთან გასაუბრებებმა აჩვენა, რომ სტუდენტები ინფორმირებულები არიან შეფასების გასაჩივრების წესებისა და მექანიზმების შესახებ. სტუდენტები საჭიროებისამებრ მიმართავენ ქულების გასაჩივრებას, რაც ასევე დადებითია და აჩვენებს, რომ სტუდენტები პრაქტიკაშიც აქტიურად იყენებენ შეფასების გასაჩივრების მექანიზმებს.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტს სტუდენტთა საუნივერსიტეტო გარემოში ინტეგრაციის მიზნით დანერგილი აქვს სტუდენტთა მიღების შემდგომი საორიენტაციო და საკონსულტაციო შეხვედრების ორგანიზება, სადაც სტუდენტებს ხელშეკრულებების გაფორმებასთან ერთად აცნობენ საუნივერსიტეტო ცხოვრების თავისებურებებს, ინფორმაციას სტუდენტური პლატფორმის შესახებ და სასწავლო-აკადემიური პროცესის ორგანიზების შესახებ. როგორც სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, ასევე ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუებმა აჩვენა საორიენტაციო შეხვედრების დროს სტუდენტები იღებენ ყველა იმ ძირითად ინფორმაციას, რაც სწავლის დაწყების პერიოდში უნივერსიტეტში ინტეგრაციას გაუადვილებს. ხოლო შემდგომში სტუდენტებს სხვადასხვა ღონისძიებების, ადგილობრივი და გაცვლითი პროექტების, კონფერენციებისა და საგრანტო და სასტიპენდიო შესაძლებლობების შესახებ ინფორმაცია მიეწოდებათ სტუდენტური პორტალის საშუალებით, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების სისტემატიურ ინფორმირებულობას მრავალფეროვანი შესაძლებლობების შესახებ.

სტუდენტს სწავლის მთელი პერიოდის განმავლობაში უნივერსიტეტში შეუძლია სამი მიმართულებით მიიღოს კონსულტაციები და თითოეულ მიმართულებაზე უნივერსიტეტის სხვადასხვა ორგანოა პასუხისმგებელი. მაგალითად, სასწავლო პროცესების ორგანიზებასა და დაგეგმვასთან დაკავშირებით სტუდენტის კონსულტირებაზე პასუხისმგებელია შესაბამისი პროგრამის ფაკულტეტის ადმინისტრაცია. სტუდენტების აკადემიურ საკითხებთან დაკავშირებით კონსულტირებაზე პასუხისმგებელია შესაბამისი აკადემიური დეპარტამენტი, სადაც შედის როგორც აკადემიური ისე მოწვეული პერსონალი. აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიურ დატვირთვაში შედის სტუდენტისთვის, როგორც ინდივიდუალური ისე ჯგუფური საკონსულტაციო შეხვედრების გამართვა. ხოლო სტუდენტთა კარიერული ორიენტაციისა და სტუდენტური შესაძლებლობების შესახებ კონსულტირებაზე პასუხისმგებელია უნივერსიტეტის სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახური. მრავალფეროვანი საკონსულტაციო მომსახურების მიუხედავად, სტუდენტებთან გასაუბრებებმა აჩვენა, რომ სტუდენტებს ნაკლებად სჭირდებათ დამატებითი კონსულტაციები, რადგან ძირითად ინფორმაციას სტუდენტური პორტალის მეშვეობით იღებენ. სასურსათო ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში ძირითადი პრობლემა, რაც გამოიკვეთა იყო ის, რომ პროგრამის განვითარებისა და დახვეწის პროცესში სტუდენტები არ იყვნენ ჩართულები. შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ პროგრამაში არ იქნა გათვალისწინებული კურსდამთავრებულთა და პოტენციურ სტუდენტთა რჩევები და უკუკავშირი პროგრამის დახვეწისა და განვითარების მიზნით. აქედან გამომდინარე, ერთი მხრივ დაწესებულება სტუდენტებს სთავაზობს მრავალფეროვან საკონსულტაციო მომსახურებას, თუმცა მეორე მხრივ, სასურსათო ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში არ ყოფილა სტუდენტებთან სათანადო კომუნიკაციის

დამყარების მცდელობა, რათა პროგრამის სააკრედიტაციოდ წარმოდგენისთვის გათვალისწინებული ყოფილიყო სტუდენტის აკადემიური და კარიერული განვითარების საუკეთესო პერსპექტივები. კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებმა აჩვენა, რომ სწავლის პერიოდში მათ ჰქონდათ გარკვეული შენიშვნები, მოთხოვნები პროგრამის ფარგლებში დამატებითი საგნების (რძისა და ხორც-პროდუქტების გამამუშავებელი ტექნოლოგიების) შექმნის შესახებ, ასევე შენიშვნები იყო იმასთან დაკავშირებით, რომ ისინი 2 წლის განმავლობაში გადიოდნენ კონკრეტულად ჩაის გადამუშავებისა და მოყვანის ტექნოლოგიებს, რაც ზედმეტად მიაჩნდათ. პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებმა აჩვენა, რომ პროგრამის აკრედიტაციის ფარგლებში სტუდენტებთან სათანადო კომუნიკაცია არ ყოფილა და არ იყო მათი ინტერესები გათვალისწინებული, რაც ცალსახად პროგრამის უარყოფითი მხარეა. სასრუველია, რომ პროგრამის განმახორციელებელ პერსონალსა და კურსდამთავრებულებს შორის დამყარდეს სათანადო კომუნიკაცია და სტუდენტთა უკუკავშირი მაქსიმალურად იქნას გათვალისწინებული. ინტერვიუებით დგინდება, რომ სტუდენტები, როგორც სემესტრულ ასევე წლიურ ანონომურ გამოკითხვებს ავსებენ, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტების უკუკავშირი პროგრამის განვითარებაზე აისახოს.

სტუდენტები ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტების შესახებ ინფორმაციას იღებენ უნივერსიტეტის საიტისა (https://www.bsu.edu.ge/) და სტუდენტური პორტალის მეშვეობით (https://portal.bsu.edu.ge/). სტუდენტური პორტალი სტუდენტებისთვის მოქნილი ელექტრონული პლატფორმაა, რათა მყისიერად მიიღონ უნივერსიტეტში მიმდინარე ღონისძიებებსა და პროექტებზე ინფორმაცია, ასევე ჰქონდეთ წვდომა ლექტორებსა და ადმინისტრაციასთან. სტუდენტურ პორტალზე სტუდენტებს ცნობების კონვერტირება წამებში შეუძლიათ, როცა ამას ჩვეულებრივ ადმინისტრაციაში 1-დან 3-დღემდე სჭირდებოდა.

მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტი ზრუნავს სტუდენტებზე და მათ სთავაზობს სხვადასხვა მომსახურებას. მაგალითად, უნივერსიტეტში მოქმედებს საერთო სტუდენტური საცხოვრებელი, რომელიც მაქსიმალურად შეღავათიან ფასს სთავაზობს სტუდენტს. ასევე, სოციალურად დაუცველი სტუდენტებისთვის მოქმედებს სწავლის დაფინანსების მექანიზმები. როგორც ადმინისტრაციულმა პერსონალმა აღნიშნა სტუდენტებს სწავლის საფასურის დავალიანების გამო სწავლა არ უჩერდებათ და უნივერსიტეტი ზრუნავს სწავლის გადასახადის ალტერნატიული წყაროების მოძიებაზე, რათა სტუდენტებმა განაგრძონ სწავლა. უნივერსიტეტში სტუდენტებს აკადემიური მოსწრების შესაბამისად შეუძლიათ რამდენიმე სახის სტიპენდიის მოპოვება: სახელმწიფო, შიდა და სახელობითი სტიპენდია. უნივერსიტეტში მოქმედებს ყოველწლიური სტუდენტური კონფერენცია, სადაც თითოეული ფაკულტეტის სტუდენტს შესაძლებლობა აქვს მონაწილეობა მიიღოს. ამავდროულად უნივერსიტეტი ყოველწლიურად აცხადებს სტუდენტთა საგრანტო კონკურსს, სადაც სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ წარადგინონ სტუდენტური პროექტები და მოიპოვონ დაფინანსება.

დადებითი ფაქტორია, რომ უნივერსიტეტი მოპოვებულ სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მაქსიმალურად ცდილობს ჩართოს და მცირე დროით ჰონორარის სანაცვლოდ დაასაქმოს უნივერსიტეტის შესაბამისი მიმართულების სტუდენტები, რაც დასტურდება წარმოდგენილი ხელშეკრულებებით. ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით უნივერსიტეტი საქართველოში გაცვლითი პროგრამების შესაძლებლობებით მესამეა. უნივერსიტეტს მემორანდუმი აქვს გაფორმებული International Institute Fur Hospitality (IIFH)-თან, რაც ითვალისწინებს სტუდენტების გაცვლით პროგრამებში მონაწილეობას, სემინარებსა და კონფერენციებში ჩართულობას, რომელიც ძირითადად ტურიზმის მიმართულებას ეხება. სასურსათო ტექნოლოგიების სტუდენტებს ამ პროგრამებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა ექნებათ, თუმცა სასურველია, რომ პროგრამამ სტუდენტებს კონკრეტულად სასურსათო ტექნოლოგიების მიმართულებით შესთავაზოს საერთაშორისო გაცვლითი პროექტები და პროგრამები. აქედან გამომდინარე, სასურსათო ტექნოლოგიების პროგრამის სტუდენტებს ნაკლები შესაძლებლობა აქვთ საერთაშორისო გაცვლით პროექტებში მონაწილეობის და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებებმაც აჩვენა, რომ მათ არ უსარგებლიათ გაცვლითი პროექტებით და პროგრამებით, რაც აღნიშნული პროგრამის სუსტი მხარეა

და საჭიროებს განვითარებას. განსაკუთრებით იმ კონტექსტში, რომ სასურსათო ტექნოლოგიები სწრაფად განვითარებადი დარგია და აუცილებელია სტუდენტებს განახლებულ ტექნოლოგიებთან და ინფორმაციასთან და საერთაშორისო გამოცდილებასთან ჰქონდეთ წვდომა.
უნივერსიტეტი სასურსათო ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში თანამშრომლობს შესაბამისი მიმართულების დამსაქმებლებთან, რის საფუძველზეც სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ სტუდენტობის პერიოდშივე გაიარონ პრაქტიკა კონკრეტულ საწარმოებში. ასევე ამ მიმართულების სტუდენტებს მრავალფეროვანი დასაქმების შესაძლებლობები აქვთ, როგორც საწარმოებში ასევე ქსელურ სუპერ-მარკეტებში. კურსდამთავრებულებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ თითქმის თითოეული მათგანი დასაქმებულია პროფესიით და ისინი უნივერსიტეტში შეძენილ ცოდნას აქტიურად იყენებენ პროფესიულ საქმიანობაში. რაც უნდა აღნიშნოს ამ პროგრამის ძლიერ მხარედ.
მთლიანობაში, უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს უშუალო და სტუდენტზე მორგებულ საუნივერსიტეტო გარემოს, სადაც სტუდენტებს მრავალფეროვანი სტუდენტური შესაძლებლობები აქვთ. სტუდენტებს ყველა საჭირო ინფორმაციაზე დროული და ამომწურავი ინფორმაცია აქვთ სტუდენტური პორტალის მეშვეობით. ისინი აქტიურად სარგებლობენ უნივერსიტეტში არსებული სხვადასხვა სტუდენტური კლუბებით და წრეებით (მაგ.: ცეკვის, ფეხბურთის), აქვთ სტიპენდიის და სასწავლო დაფინანსებების მოპოვების შესაძლებლობები, სტუდენტური საცხოვრებლით სარგებლობის საშუალება და დასაქმების შესაძლებლობები. თუმცა კონკრეტულად სასურსათო ტექნოლოგიების მიმართულებით გამოიკვეთა ორი პრობლემა: პროგრამის განვითარებაში სტუდენტთა ჩართულობა და პროგრამის სტუდენტების დარგობრივი საერთაშორისო გაცვლით პროექტებში ჩართვის შესაძლებლობების არარსებობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- წარმოდგენილი დოკუმენტაცია
- თვითშეფასების ანგარიში
- სტუდენტური პორტალი
- უნივერსიტეტის ვებგვერდი
- სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის წესი 2017 წლის N03 დადგენილება
- საგრანტო პროექტებში სტუდენტთა ჩართვის დამადასტურებელი ხელშეკრულებები
- სტუდენტური კონფერენციის ამსახველი დოკუმენტაცია
- პროგრამა და სილაბუსები
- გასაუბრებების შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია პროგრამის განვითარების მიზნით კურსდამთავრებულებთან და სტუდენტებთან კომუნიკაციის დამყარება და მათგან უკუკავშირის მიღება პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ და შემდგომ პროგრამაში გათვალისწინება.
- სასურველია დარგის მიმართულებით საერთაშორისო პარტნიორ ინსტიტუციებთან კავშირების ეფექტური დამყარება და შესაბამისი მიმართულებით სტუდენტებისთვის სხვადასხვა გაცვლითი პროექტებისა და პროგრამების შეთავაზება.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	☒	☐	☐	☐

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები	
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	
მაგისტრანტების/დოქტორანტების რაოდენობა	
თანაფარდობა	

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	☐	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამას ახორციელებს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალი, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია, რაც დასტურდება მათი სამეცნიერო–პრაქტიკული საქმიანობით; პროგრამის

განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას, ვინაიდან ისინი აფილირებულნი არიან ბსუ-თან და ძირითადი დატვირთვა გააჩნიათ ამ უნივერსიტეტში;

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	**პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[6]**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[7]**	**მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სულ აკადემიური პერსონალი	**15**			
- პროფესორი	2	2	2	2
- ასოცირებული პროფესორი	6	6	6	6
- ასისტენტ-პროფესორი	7	7	7	7
- ასისტენტი	2			2
მოწვეული პერსონალი	6	6	6	_
სამეცნიერო პერსონალი	9	9	9	_

აღნიშნულ პროგრამაში ჩართულ პირთა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებელი ბოლო 5 წლის განმავლობაში საკმაოდ აქტიურია და სულ 365 ნაშრომია გამოქვეყნებული, აქედან 71 ადგილობრივ ჟურნალებში, 129 საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში. ასევე აქტიუტრად იყვნენ ჩართულები ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში (62/72).

აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის 15/6 წარმოდგენილი ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ყველა აკადემიური პერსონალი აფილირებულია რაც თავის მხრივ მყარი გარანტია პროგრამის მდგრადობის. პროგრამის ხელმძღვანელებს გააჩნიათ პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, რაც დასტურდება მათი სამეცნიერო–პრაქტიკული და პედაგოგიური მოღვაწეობით. პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა მათი აქტიური ჩართულობა პროგრამის შემუშავებასა და მის განვითარებაში, ასევე გამოიხატა მათი აქტიური კომუნიკაცია თითოეულ კურსდამთავრებულებთან.

პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით; ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მათ მიერ განსახორციელებელ ფუნქციებს. სტუდენტებთან/კურსდამტავრებულებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა დამხმარე პერსონალის აქტიური კომუნიკაცია სტუდენტებთან, სწორი და დროული ინფორმაციის მიწოდება და სხვა.

[6] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[7] ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის #3 გადაწყვეტილება „ბსუ-ს აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების ტაობაზე
- ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივნისის #4 გადაწყვეტილება „ბსუ-ს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესი;
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი CV
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომიტი ხელშეკრულებები
- უნივერსიტეტში დამხმარე პერსონალის შესარჩევი კონკურსის ჩატარების წესი;
- დამხმარე პერსონალის CV
- აკადემიური და მოწვეული პირების ინდივიდუალური დატირთვები

რეკომენდაციები:

- o წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- o არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.1 ადამიანური რესურსი	☒	☐	☐	☐

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომების ხელმძღვანელები	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები	მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა			
- პროფესორი			
- ასოცირებული პროფესორი			
- ასისტენტ-პროფესორი			
მოწვეული პერსონალი			_
სამეცნიერო პერსონალი			_

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- o კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

- o წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- o არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	☐	☐	☐	☐

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- ➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უსდ-ს საკმაოდ სიღრმისეულად აქვს შემუშავებული უნივერსიტეტის მისია და სტრატეგიული განვითარების გეგმა (2018-2024), სადაც იდემტიფიცირებულია პრობლემები, მიზნები და განვითარების გზები.

- უნივერსიტეტში განხორციელებული კვლევა უნდა იყოს ღირებული, ფუნდამენტური და პრაქტიკული მნიშვნელობის;
- ინტერნაციონალიზაცია უნდა მოიცავდეს სწავლის, სწავლებისა და კვლევის პროცესებს;
- აკადემიური და ადმინისტრაციული მართვის პროცესები უნდა იყოს კარგად ორგანიზებული და ეფექტური

აკადემიური პერსონალის განვითარების ხელშეწყობა:

ამოცანა 1

აკადემიური პერსონალის შეფასება: აკადემიური/მოწვეული და სამეცნიერო პერსონალის საქმიანობის შეფასების სისტემის შემუშავება და პერსონალთან დაკავშირებული პოლიტიკის განსაზღვრა.

ამოცანა 2

მომსახურება: აკადემიური/მოწვეული და სამეცნიერო პერსონალისათვის გაწეული მომსახურების შეფასების წესის შემუშავება და სერვისების სრულყოფა.

ამოცანა 3

სამეცნიერო კომპონენტი: აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესის შემუშავება.

ამოცანა 4

თანამშრომელთა კმაყოფილების კვლევა: აკადემიური/მოწვეული და სამეცნიერო პერსონალის მართვის პროცესში კმაყოფილების კვლევის ჩატარებისა და შედეგების გამოყენების წესების შემუშავება.

ამოცანა 5

აქტიური პროფესორ-მასწავლებელი: მექანიზმის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის მიერ დარგში არსებულ სიახლეებისა და მიღწევების დაუფლებას, სამეცნიერო სემინარების მუშაობას.

ამოცანა 6

უკეთესი ლექტორი და მკვლევარი: სასწავლო და კვლევითი უნარების განვითარების ხელშემწყობი მექანიზმების შექმნა და მეთოდური ტრენინგების ორგანიზება.

ამოცანა 7

ლექტორი-კონსულტანტი: მექანიზმების შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ არასააუდიტორიო აქტივობებში (სამეცნიერო/კულტურულ ღონისძიებები, კონსულტაციები) ჩართულობას.

პერსონალის განვითარების პოლიტიკა: პერსონალის განვითარებაზე ორიენტირებული მართვის პოლიტიკის შემუშავება, რომელიც მოიცავს:

ამოცანა 8

• აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის გამჭვირვალე და ობიექტურ პროცედურებს და უზრუნველყოფს მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვას;

• პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით დაგეგმილ აქტივობებს;

• მკაფიოდ ჩამოყალიბებულ წახალისების პრინციპებს, რომლებიც ეფუძნება მისი საქმიანობის შეფასებას;

• სამეცნიერო მივლინებების წესის დახვეწას;

• პროცედურებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ახალი აკადემიური პირის ეფექტურ ინტეგრაციას სამუშაო პროცესში.

აღნიშნული და ეფექტურად გაწერილი ამოცანების შესაბამისად უსდ-ს მიღებული აქვს შესაბამისიდადგენილებები , რაც ზემოთაღნიშნული ამოცანების განხორციელებას უზრუნველყოფს. უსდ-ს მხრიდან წელიწადში ერთხელ ხდება პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობის შეფასება, რისთვისაც ეფექტურად იყენებს ონლაინ პლატფორმას https://www.bsu.edu.ge/ . გასაუბრებების დროს გამოიხატა ადმინისტრაციის დიდი მხარდაჭერა, როგორც სტუდენტების, ასევე პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიმართ. უსდ-ს აქვს წახალისების ეფექტური მექანიზმები სამეცნიერო ნაშრომების, კვლევების დაფინანსების და ჰონორარების გაცემის მიმართულებით. ასევე ხელფასების ზრდის ტენდენციაა. მაგ 2023 წელს 10% გაიზარდა ხელფასები. უსდ-ს მხრიდან ფინანსდება სამეცნიერო მივლინებები. 20% გაზრდილია შიდა გრანტების ფონდი, ასევე აკადემიურ პერსონალს 70% უფინანსდებათ უცხო ენების სწავლა. აქტიურად ნერგავენ ახალგაზრდა კადრების მოზიდვის პრაქტიკას. თვითშეფასების ჯგუფის მიერ თანდართულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი იყო პედაგოგიური საქმიანობის და სამეცნიერო საქმიანობის შეფასების ფორმები, სადაც დეტალურად არის აღწერილი წლის განმავლობაში პერსონალის ჩართულობა სამეცნიერო თუ პედაგოგიურ საქმიანობაში, აღნიშნული ფორმების შევსების შემდგომ უსდ-ს ადმინისტრაცია ახდენს რეაგირებას და სთავაზობს პროფესიული განვითარების შესაძლებლობებს სხვადასხვა კურსების და აქტივობების საშუალებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია და სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 06-01/93 14 აგვისტო, 2019 წ. ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 18 ივლისის №66 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე
- პედაგოგიური საქმიანობის შეფასების ფორმა;
- სამეცნიერო საქმიანობის სეფასების ფორმა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- o წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- o არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
4.3 აკადემიური, სამეცნიერო და	☒	☐	☐	☐

მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უსდ-ში ვიზიტისას პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის გაცნობა მოხდა ადგილზე. ექსპერტთა ჯგუფმა მოინახულა სასწავლო ინვენტარი, აუდიტორიები, პრაქტიკული და ლაბორატორიული სამუშაოებისათვის განკუთვნილი სივრცეები - ლაბორატორიული დანადგარების პრაქტიკული მეცადინეობებისათვის აღჭურვილი ოთახები.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის ქიმიური ანალიზისა და სურსათის უსაფრთხოების განყოფილების, აგრარული და კვების პროდუქტების ტექნოლოგიების განყოფილების, მემბრანული ტექნოლოგიის განყოფილების ლაბორატორიები და იქ მომუშავე კვალიფიციური პერსონალი. ბოლო პერიოდში 7 მლნ ლარის ინვესტიცია განხორციელდა მატერიალურ ტექნიკური ბაზის გასაუმჯობესებლად. უსდ-თან სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შეერთებით უსდ-ს მიეცა მშვენიერი შესაძლებლობა, სრულად გამოიყენოს ლაბორატორიები და დანადგარები პროგრამების ეფექტურად და ხარისხიანად განხორციელებისთვის. ლაბორატორიებს აქვთ კერძო შეკვეთებით

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტს ბიბლიოთეკით – ელექტრონული ინფორმაციით EBSCOHost (http://search.epnet.com); Cambridge Unioversity Journals (http://journals.cambridge.orp); Oxford University Journals (http://www.oxford-journals.org), ინტერნეტქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკით, საკონფერენციო დარბაზით. სტუდენტებთან გასაუბრებისას დადასტურდა მათ მიერ უსდ-ს ბიბლიოთეკის ეფექტური გამოყენება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის/სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
- სასწავლი კურსის პროგრამები;
- უსდ-ს ბიბლიოთეკა და მისი ელ. ბაზები;

რეკომენდაციები:

- o წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- o არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.4 მატერიალური რესურსი	☒	☐	☐	☐

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წარმოდგენილი დოკუმენტაციიათა და ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, აკადემიურ, მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან გასაუბრებებით ჩანს, რომ წარმოდგენილი პროგრამის განსახორციელებლად საჭირო ფინანსური რესურსები გათვალისწინებულია პროგრამის ბიუჯეტში და ასევე ერთიან საუნივერსიტეტო ბიუჯეტში - წარმოდგენილი პროგრამის საჭიროებების შესაბამისად.

საბაკალავრო პროგრამის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსები ეკონომიკურად მიღწევადია.

პროგრამა ფინანსურად სტაბილურია და მოცემული ბიუჯეტით იფარება: პროგრამის განვითარების, სწავლა/სწავლების, კვლევის საწარმოებლად საჭირო რესურსების დაფინანსების, პერსონალის შრომის ანაზღაურების, პროგრამის ეფექტიანი განხორციელებისათვის დაკავშირებული სხვა აუცილებელი ხარჯები.

ამასთან აღსანიშნავია, რომ საბიბლიოთეკო რესურსის, ინფრასტრუქტურის განახლებისა და მოვლა-შენახვისთვის აუცილებელი ხარჯი გათვალისწინებულია უნივერსიტეტის ცენტრალურ ბიუჯეტში. ხოლო კონფერენციების, პუბლიკაციების და სხვა სამეცნიერო მიმართულებებით გასავალი - იფარება ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ცენტრალურ ბიუჯეტებით.

ბსუს კანცლერის განცხადებით, მუშაობს შიდა გრანტების პროგრამა, რომლის ბიუჯეტი 300 000 ლარს შეადგენს. მისივე თქმით, პროფესორ/მასწავლებელთა ანაზღაურება გაიზარდა 15-20% - ით,

წარმოდგენილი ბიუჯეტით ჩანს, რომ პროგრამის შემოსავალი შეადგენს - 180 000 ლარს, პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო თანხის ოდენობა 168 525 ლარია. ერთიანი ეროვნული გამოცდებით ჩარიცხული 20 სტუდენტის შემოსავალი 4 წელზე -180 000 ლარია, პროგრამის განმახარცილებელ ბსუს პერსონალის შრომის ანაღაურებაზე მიდის - 96 525 ლარი. პროგრამის განვითარებაზე დახარჯული თანხა შეადგენს - 72 000 ლარს. ლაბორატორიების აღჭურვილობის თანხა შეადგენს-2043231, 334 ლარს. პერიოდულად ხდება საჭირო ლიტერატურის შეძენა, ლაბორატორიების აღჭურვა/განახლება, სხვადასხვა გრანტების ფარგლებში.

პროგრამის მესვეურთა თქმით, მაქსიმალური ხელშეწყობა აქვთ სოციალურად დაუცველ სტუდენტებთან მუშაობის მიმართებით, მათთვის მუშაობს სხვადასხვა შეღავათები, გააქტიურებულია სტუდენტური პროგრამები სამეცნიერო და სხვა მიმართულებით, გაიცემა სახელმწიფო სტიპენდიები, აჭარის ავტონომიური საბჭოს გადაწყვეტილებით, მუშაობს სტუდენტთა სოციალური პროგრამა და 71000 ქულაზე ნაკლები ქულის მქონე სტუდენტების დაფინანსება.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ 2010 წლიდან ბსუს შემოუერთდა სხვადასხვა კვლევითი ინსტიტუტები, მაგალითად, 2010 წელს ქობულეთში მცენარეთა კვლევის მიმართულებით მოქმედი ინსტიტუტი, გარემონტდა ახალი შენობა.
შესაბამისად, პროგრამას ემსახურება სხვადასხვა კარგად აჭურვილი ლაბორატორია.
რექტორის განცხადებით, აქტიურად მუშაობს პროგრამული ბიუჯეტი, კვლევის ინსტიტუტებისათვის გამოყოფილი მსხვილი ბიუჯეტები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიუჯეტი,
- საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი.
- ლაბორატორიული აღჭურვილობის ბიუჯეტი
- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, პროგრამისათვის გაიწეროს დამოუკიდებელი ბიუჯეტი.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.5 პროგრამის/ ფაკულტეტის/ სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული გასაუბრებებით იკვეთება, რომ ხარისხის შიდა უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს უსდში კოორდინირებას უწევს კურიკულუმის განვითარების კომიტეტი, რომლის შემადგენლობაშიც შედის ბსუს ცენტრალური ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის წარმომადგენლები, სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი.

კურიკულუმის განვითარების კომიტეტის საქმიანობის ძირითადი ამოცანაა უსდში სწავლებისა და კვლევის ხარისხის ამაღლება და საერთო ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის ხელშეწყობა.

ინტერვიუს შედეგებით გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტში სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობის, აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების შეფასებისა და სათანადო რეკომენდაციების შემუშავების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აკადემიურ/ადმინისტრაციულ პერსონალთან თანამშრომლობით მონაწილეობს სტუდენტების მიერ პროგრამით განსაზღვრული კურსების სწავლის შედეგების მიღწევის რელევანტურობის შემოწმების კუთხით, რათა მოხდეს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის გაზომვა. შედეგების ანალიზის საფუძველზე კი ცორციელდება პროგრამის სწავლის შედეგების მოდიფიცირება, პროგრამის მიზნებისა და შედეგების რელევანტურობის დასადგენად - პროგრამის შედეგების მაქსიმალურად გასვლის უზრუნველსაყოფად.

ხარისხის სამსახურის წარმომადგენლების თქმით, „აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა სხვადასხვა რგოლთან, რათა სწავლის შედეგების შეფასება განხორციელდეს ობიექტურად და გამჭვირვალედ, პროგრამით განსაზღვრული კურსების სწავლის შედეგების შემოწმება, გაზომვა და ანალიზი მთელი სემესტრის განმავლობაში უწყვეტად მიმდინარეობს, ამ პროცესში აქტიურად ვიყენებთ უსდს დებულებით განსაზღვრული შუალედური და დასკვნითი შეფასებების ანალიზს. სხვადასხვა აქტივობებს-კონფერენციების, სამეცნიერო აქტივობების, საერთაშორისო პროექტების შედეგების ანალიზს და ბაზრის კვლევის შედგებს.“

ასევე აქტიურად მიმდინარეობს ლექცია -სემინარებზე დასწრება, სადაც ლექციის შეფასების შემდეგ წინასწარ შედგენილი რუბრიკის მიხედვით კურსის წამყვან ლექტორს ეძლევა განმავითრებელი შეფასება და რეკომენდაციების მიცემა, შემდეგ კი გარკვეული პერიოდის შემდეგ ხელახალი დასწრება.

უსდში კარგად არის დაგეგმილი განსახორციელებული პროცედურები, რის საფუძველზეც წარმოებს მიმდინარე პროცესების შეფასება. - ციკლურ პროცესზე დაყრდნობით ოთხ ძირითად ურთიერთდაკავშირებულ ელემენტთან მიმართებით: დაგეგმვა, განხორციელება, შემოწმება და გაუმჯობესება (Planning, Implementing, Checking and Improving - PICI).

ასევე მკაფიოა საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი მექანიზმები, რომლის საქმიანობაში აკადემიურ პერსონალთან ერთად მონაწილეობენ სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები.

შიდა შეფასების საფუძველზე უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ინსტრუმენტები უზრუნველყოფს სტუდენტთა ჩართულობას, ხარისხის განსაზღვრას სისტემაში, ასევე საგანმანათლებლო პროგრამისა და სილაბუსების სტანდარტის ამაღლებას.

ამრიგად, დოკუმენტების შესწავლა, გასაუბრების შედეგები აჩვენებს, რომ შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები - საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების, სამეცნიერო პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი, კურსდამთავრებულთა დასაქმების, დამსაქმებლის დამოკიდებულება ორიენტირებულია საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო პროცესისა და აკადემიური პერსონალის შეფასებასა და განვითარების ხელშეწყობაზე.

აღსანიშნავია ისი, რომ სასწავლო პროცესის მონოტორინგი, სწავლის, სწავლებისა და კვლევის ინტერნაციონალიზაცია, პერიოდული კვლევების წარმოება და რეკომენდაციების შემუშავება. მიმართულია შიდა ხარისხის უზრუნველყოფასთან.

თვითშეფასების ჯგუფთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ პროგრამაზე მუშაობა კოორდინირებულად და აქტიურად მიმდინარეობდა: გადაიხედა სასწავლო კურსის სწავლის შედეგებსა და მიღწევის აქტივობებს შორის კავშირი, შეფასების კრიტერიუმებში მოხდა ცალკეული ხარვეზების გასწორება გარკვეულ სასწავლო კურსებში.

წარმოდგენილი დოკუმენტებითა და გასაუბრებებით იკვეთება ისიც, რომ ხარისხის შიდა შეფასების მიზნით აქტიურად გამოიყენება აკადემიური და მოწვეული პერსონალის თვითშეფასების სისტემაც, რომელიც მოიცავს პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობის კომპონენტებს და ასახავს კვლევისა და შემოქმედებითი საქმიანობის, სწავლებისა და აკადემიური ჩართულობის მიმართულებებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის თვითშეფასება
- ბსუს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 14 ივლისის #03-01/58 დადგენილება „ბსუს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისადა განვითრების წესის დამტკიცების შესახებ“.
- ბსუს აკადემიუური საბჭოს 2017 წლის 17 ივლისის #10 დადგენილება - ბსუს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“
- ბსუს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს #10 დადგენილება - ბსუს სამეცნიერო კვლევის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“
- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები:

- o წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- o არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.1 შიდა ხარისხის შეფასება	☒	☐	☐	☐

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წარმოდგენილი დოკუმენტაციით, გასაუბრებების საფუძველზე/აქტიური ინტერვიუების ფორმატში გამოიკვეთა, რომ პროგრამა გარე ხარისხის შეფასებისათვის იყენებს სხვადასხვა ინსტრუმენტებს: გარე ექსპერტის შეფასებას (წარმოდგენილია ქართველი ექსპერტის მ.კ.დასკვნა),სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის შესაბამისი მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამების ანალიზს, დამსაქმებელთა, კურსდამთავრებულთა, სტუდენტების კვლევას.

უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი პროგრამა მომზადებისას დაეფუძნა: საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში ამ მიმართულებით მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების ანალიზის შედეგებს. კერძოდ, წარმოდგენილი პროგრამის ხელმძღვანელების განცხადებით, პროგრამის მესვეურების მიერ განხორციელდა საქართველოში და საერთაშორისო დონეზე არსებული შესაბამისი პროგრამების:

- სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი - „საკვები პროდუქტების ტექნოლოგია და უვნებლობა“
- სსიპ -აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი - „სასურსათო პროდუქტთა ტექნოლოგია და ექსპერტიზა“
- სსიპ- იაკობ გოგებაშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი - „სასურსათო ტექნოლოგია“
- University of Applied Sciences/ Bachelor of Food Technology (BSc) VHL პროგრამის
- Fulda University of Applied Sciences.

წარმოდგენილი დადარების დოკუმენტის მიხედვით, აღნიშნული უნივერსიტეტების საგანმანათლებლო პროგრამებში გაანალიზებულია-სასწავლო კურსები, საათები, პრაქტიკული კომპონენტისათვის საათები.შესაბამისად, პროგრამების შედარებითი ანალიზის საფუძველზე (გაანალიზებულია ამ პროგრამების სასწავლო კურსები მთელი სასწავლო პერიოდის-ოთხი წლის განმავლობაში) აგებულია და ჩამოყალიბებულია ამ რეგიონის(აჭარის) სპეციფიკასა და მოთხოვნებსა და საჭიროებების საფუძველზე აგებული და წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამა.

ფაკულტეტის ხარისხის წარმომადგენლის თქმით “ჩვენი პროგრამის განსხვავებულობა გამოიხატება მის სავალდებულო საგნების ჩამონათვალში ისეთი ტიპის სასწავლო კურსების არსებობით, როგორიცაა ხილისა და ბოსტნეულის დაკონსერვების ტექნოლოგია, კვების პროდუქტების წარმოების პროცესები და აპარატები, ბიოტექნოლოგიის საფუძვლები.“

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ პროგრამის ხელმძღვანელების თქმით, პროგრამის გარე შეფასებაში წარმოდგენილი 12-ივე რეკომენდაცია გათვალისწინებულია, შესაბამისი ცვლილებები ასახულია ჩვენს პროგრამაში“.

საინტერესოა კუსდამთავრებულების შეფასებაც.

ინტერვიუებისას ერთ-ერთმა კურსდამთვრებულმა აღნიშნა,: „ვმუშაობ საბაჟოზე და ვარ ფიტო სანიტარი, და ძალიან გამომადგა ის თეორიული ცოდნა, რაც აქ მივიღე, სურვილი მქონდა, პრაქტიკის საათები უნდა მეტი გვქონოდა, რაც ამ პროგრამაში გათვალისწინებულია“.

ასევე სხვა კურსდამთავრებულების შეფასებით „აქტიურად ვმონაწილეობდით შიდა გრანტებიის კონკურსში - ჩაისა და ჩირის წარმოებების მიმართულებებით. “

წარმოდგენილი დოკუმენტაციით მკაფიოდ ჩანს, რომ პროგრამის მომზადებისას ხარისხის გარე უზრუნველყოფის მიზნით, გამოყენებულია ხარისხის გარე შეფასების შედეგები (კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვა)

სტუდენტების თქმით, მაქსიმალურად არის გათვალისწინებული მათი ინტერესები. „მაგალითად, კურსებში პრაქტიკული აქტივობების გააქტიურების მიმართებით - დამატებულია დანადგარებთან მუშაობისას პრაქტიკული საათები“ .

ერთ-ერთი კურსდამთავრებულის შეფასებით, „ჩვენ გავიარეთ ისეთი სასწავლო საგნები, რაც ძალზედ დამეხმარა კარფურში მუშაობისას, ახლა ვმუშაობ მენეჯერის პოზიციაზე კარფურში, მიღებული ცოდნა ძალიან მეხმარება“.

ერთ-ერთი დამსაქმებლის მ.მემარნეს თქმით: “მე ვარ ქობულეთში კონცენტრირებული მანდარინის წვენის დამამუშავებული საწარმოს წარმომადგენელი. პროგრამის თვითშეფასების ჯგუფში წარმოდგენილი სტუდენტი მუშაობდა ჩვენს საწარმოში, როგორც ლაბორანტი, ის მუშაობის დროს იდეალურად ასრულებდა თავის სამუშაოს და ამისათვის ქონდა ყველა საჭირო ცოდნა და უნარები“.

მეორე დამსაქმებლის განმარტებით, გვქონდა ვაკანსია ტექნოლოგის პოზიციაზე-სასმელი წყალის, ალკოჰოლური წყალის წრმოების მიმართულებით, სამწუხაროდ, ეს ვაკანსია დაგვრჩა შესავსები, ანუ კადრების დეფიციტია. შესაბამისად, ეს პროგრამა ძალზედ მოთხოვნადი და საჭიროა.

ქედის საკონსერვო ქარხანა “ნენას“ წარმომადგენლის თქმით, საწებლების წარმოების მიმართულებით მოქმედ საწარმოში დასაქმდა კურსდამთავრებული (გ.დ), რომელიც სრულად აკმაყოფილებს წარმოების მოთხოვნებს.

მისი თქმით, 11 ქვეყანაში გადის ჩვენი პროდუქცია და დღესდღეობით ძალზედ დეფიციტურია ტექნოლოგის კადრი.

შეჯამების სახით უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი პროგრამის გარე შეფასების ფარგლებში გაანალიზდა პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი მიღწევის კომპონენტები, სწავლება-სწავლის მეთოდები, სადაც ჩართული იყვნენ კურსდამთავრებულები, პოტენციური დამსაქმებლები, ასევე დარგის სპეციალისტები.

აღნიშნული ინფორმაცია დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით, პროგრამის ხელმძღვანელებთან, თვითშეფასების ჯგუფთან, ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან, დამსაქმებლებთან ინტერვიუებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კურსდამთავრებულთა გამოკითხვის ანალიზი;
- დამსაქმებელთა გამოკითხვის ანალიზი;
- პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები; პროგრამის განვითარების საბჭოს ოქმი;
- პროფ.მ.კევლიშვილის გარე შეფასების ამსხველი დოკუმენტი.
- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები:

- o წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, პროგრამას გარე შეფასების ნაწილში ჰყავდეს არამარტო ქართველი გარე შემფასებელი, არამედ უცხოელი ექსპერტიც.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.2 გარე ხარისხის შეფასება	☒	☐	☐	☐

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული გასაუბრებებით იკვეთება, რომ ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს უსდში კოორდინირებას უწევს ბსუს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური/უნივერსიტეტის მართვის ორგანო, რომლის საქმიანობის ძირითადი ამოცანაა უსდში სწავლებისა და კვლევის ხარისხის ამაღლება და საერთო ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის ხელშეწყობა.

საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება რეგულარული პროცესია, რისთვისაც გამოიყენება როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი მეთოდები; როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი მონაცემები, რაც დასტუდება წარმოდგენილი დოკუმენტების პაკეტით და ინტერვიუებში გაჟღერებული ინფორმაციით.

გასაუბრებებით ასევე იკვეთება, რომ უნივერსიტეტში სისტემატურად მიმდინარეობს დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა, მათი კმაყოფილების კვლევა სტუდენტებისა და პერსონალის მომსახურების ხარისხით, მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საბიბლიოთეკო ფონდების მოხმარებითა და სხვ.

პერიოდულად მიმდინარეობს კითხვარების განახლება.

გამოკითხვის პროცესში გამოყენებულია როგორც საუნივერსიტეტო დონეზე რეკომენდირებული, ისე დამატებითი კითხვარები, რაც უკავშირდება დარგის სპეციფიკას.

გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ აქტიური დატვირთვა აქვს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის შეფასებას.

პერსონალის თქმით, ისინი ავსებენ წლიური ანგარიშის ფორმას, სასწავლო წლის მიხედვით, რაც აერთიანებს სხვადასხვა ტიპის აქტივობას, როგორც პედაგოგიური, ასევე სამეცნიერო მიმართულებებით.

შევსებული ანგარიშების მონაცემები მუშავდება ხარისხის სამსახურის მიერ და შემდეგ გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით აკადემიურ პერსონალთან ინდივიდუალურად მიმდინარეობს აქტივობების დაგეგმვა.

უნდა აღინიშნოს, რომ პერსონალთან დადებულ ხელშეკრულებებში გაწერილია პერსონალის მიერ სამეცნიერო და პრაქტიკული ჩასატარებელი საათები, სხვა აქტივობები.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მუდმივ რეჟიმში კონსულტაციებს უწევს აკადემიურ, სამეცნიერო, მოწვეულ, ადმინისტრაციულ, დამხმარე პერსონალს, ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფასთან, ავტორიზაციასა და აკრედიტაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

მუდმივად, პრიორიტეტული მიმართულებების გათვალისწინებით მიმდინარეობს სწავლისა და სწავლების, კვლევის პროცესების, ადმინისტრირებისა და სერვისების ინტეგრირება ელექტონულ პორტალებზე.

აღსანიშნავია პროგრამის ხელმძღვანელების, პროგრამაში ჩართული პერსონალის აქტიური თანამშრომლობა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, მათი აქტიურობა ხარისხის სამსახურის მიერ დაგეგემილ სხვადასხვა ტიპის ისეთ შეხვედრებში, როგორიცაა სასწავლო-სამეცნიერო პროცესის გამართულობა, პროგრამის შემუშავება, სილაბუსების მომზადება, უკუკავშირების შედეგად მუდმივ რეჟიმში უწყვეტად მიმდინარეობს ცალკეული კურსების მოდიფიცირება, სხვადასხვა ფორმატის საკონსულტაციო თუ სატრენინგო შეხვედრებში მონაწილეობა.
ახალი რეგულაციების გაცნობისა ან შიდა რეულაციების შექმნა-განახლების მიზნით, ასევე მნიშვნელოვანია შეფასების ინსტრუმენტებსა და რეგულაციებზე მიღებული ინფორმაციის ასახვა პროგრამაში.
ყველა მოყვანილი ცვლილება განიხილება კურიკულუმის განვითარების კომიტეტში, რაც არის პროცესში პერსონალის ჩართულობის გარანტი.
შეხვედრებისას ინტერვიუებში იკვეთება, რომ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური და მოწვეული პირები იცნობენ ამ მექანიზმებს და მათ გამოყენებას ეფექტურად მიიჩნევენ პროგრამისა და თვითგანვითარებისათვის.

ინტერვიუებში აღინიშნა, რომ პერსონალის შეფასების შედეგები გაითვალისწინება პროგრამის განვითარების პროცესში, რაც ზრდის პროფესორ-მასწავლებელთა პასუხიმგებლობას და ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლებას.

აკრედიტაციისათვის საგანმანათლებლო პროგრამისა და თვითშეფასების ანგარიშის მომზადებაში სამუშაო ჯგუფთან ერთად ჩართულნი იყვნენ დაინტერესებული მხარეები (კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, სტუდენტები, პროფესორები)

კურსდამთავრებულების თქმით, პრაქტიკული კურსების წილი საკმაოდ კარგად არის მოცემულ პროგრამაში.

ნათლად ჩანს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობის მიმართულებები სტუდენტზეა ორიენტირებული და სწავლებისა და კვლევის ხარისხის გაუჯობესებას ემსახურება. უზრუნველყოფილია სასწავლო რესურსებისა და სერვისების მიწოდების მაღალი ხარისხი; სწავლებისა

და კვლევების ინტერნაციონალიზაცია; პერიოდული და ეფექტური მონიტორინგი, შეფასება და სწორი რეაგირებას.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ზრუნავს სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლებაზე, შეიმუშავებს სასწავლო პროცესის ხარისხის შეფასებისთვის საჭირო ინსტრუმენტებსა და მეთოდებს, გეგმავს შეფასების პერიოდულობას, უზრუნველყოფს შეფასებას და მოპოვებული მონაცემების საფუძველზე, იძლევა რეკომენდაციებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

პროგრამის ხელმძღვანელები, პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, მონაწილეობს სამსახურის მიერ დაგეგემილ შეხვედრებში (იქნება ეს სასწავლო-სამეცნიერო პროცესთან, პროგრამასა და სილაბუსებთან, შეფასებასთან დაკავშირებული სატრენინგო შეხვედრები თუ ახალი რეგულაციების გაცნობისა ან შიდა რეულაციების შექმნა-განახლების მიზნით ორგანიზებული შეხვედრები);
პერსონალი პროგრამასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას ითვალისწინებს ხარისხის შეფასების შედეგებს, რამდენადაც ეცნობა და იყენებს გამოკითხვების შედეგებს: ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სისტემატურად ატარებს სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვებს, ჩატარებული კვლევების შედეგები გათვალისწინებულია პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად, პროგრამის გასაახლებლად, პროფესორ/მასწავლებელთა მუშაობის უკეთ დასაგეგმად.
პროგრამის კომპონენტების შეფასების მიზნით აქტიურად ვითრდება ელექტრონული სისტემაც, შეფასების შედეგები ხელმისაწვდომია როგორც უნივერსიტეტის ადმინისტრაციისთვის, ასევე კომპონენტის განმახორციელებლისთვის (აკადემიური და მოწვეული პერსონალი), რაც უზრუნველყოფს კომპონენტის განხორციელების გაუმჯობესების მიზნით ეფექტური გადაწყვეტილებების მიღებას.
გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ უსდს ადმინისტრაცია ხელს უწყობს პერსონალს განვითარებისათვის, გამართულია ხელშეწყობის მექანიზმები: მაგალითად: გასაუბრებისას ერთ-ერთმა პროფესორმა აღნიშნა: „უსდ მაძლევს საშუალებას მონაწილეობა მივიღო სხვადასხვა საერთაშორისო აქტივობებში, მაგალითად ჩინეთში სამკვირიანი ვიზიტი დამიფინანსდა“, რეგულარულად გაიცემა შიდა გრანტები.
ასევე 2022 წლიდან 1800-2000 ლარით ჯილდოვდება ის პროფესორი, რომელიც სკოპუსის ბაზაში გამოაქვეყნებს სტატიას, ერთ-ერთი პროფესორის თქმით, შიდა გრანტების კონკურსში მან კვლევისათვის მოიპოვა 20 000 ლარის ბიუჯეტის მქონე გრანტი.
სტუდენტების თქმით, აქტუალურია სხვადასხვა საერთაშორისო აქტივობებში მათი მონაწილეობა: „შეირჩა 10 სტუდენტი - ინგლისურის ცოდნის დონით, და ჩვენ სამი თვით წავალთ გერმანიაში, ახლა ვიწყებთ გერმანულის შესწავლას“ .

აღსანიშნავია ისიც, რომ ჩამოსულ სტუდენტებს ემსახურება 120 სტუდენტზე გათვლილი თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი საერთო საცხოვრებელი.

დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზი და გასაუბრებებათა სერია ცხადყოფს, რომ პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების მექანიზმები უნივერსიტეტში დამუშავებული და გააზრებულია. რაც ხელს უწყობს პროგრამის მუდმივ განვიათარებას.

კომპონენტის მტკიცებულებები/
ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგები;
- დამსაქმებელთა კვლევის შედეგები;

- პროგრამის თვითშეფასება
- ბსუს აკადემირი საბჭოს 2022 წლის 14 ივლისის #03-01/58 დადგენილება „ბსუს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისადა განვითრების წესის დამტკიცების შესახებ“.
- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები:

- o წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- o არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში):

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი; ტექნოლოგიური ფაკულტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: სასურსათო ტექნოლოგია, ბაკალავრიატი

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

შეფასება / სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☐	☒	☐	☐
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	☒	☐	☐	☐
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	☒	☐	☐	☐
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	☒	☐	☐	☐
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	☒	☐	☐	☐

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა - თამარ სანიკიძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

სახელი, გვარი, ხელმოწერა ნინო ჩხარტიშვილი

სახელი, გვარი, ხელმოწერა ნატალია ცქიტიშვილი

სახელი, გვარი, ხელმოწერა ირმა ქურდაძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა ნინო ქოთოლაშვილი